ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 30 ნოემბერი, 2021 №226 (8755) ფასი: 60 თეთრი

## პოლიციამ თბილისის სასამართლოსთან სპეციალური საშუალებები გამოიყენა

## დაკავებულია 15 პირი



გვ.5

# „სააკაშვილის ბოდიში მის სიძლიერეზე მეტყველებს“



გვ.2

ზაალ უდუმაშვილი: „ჩვენთვის ვადამდელი და სააკაშვილის განთავისუფლება თანაბრად პრიორიტეტულია“



## მიხეილ სააკაშვილი: „ბევრი იტყვის, რომ სრულ ჭკუაზე არ ვარ“

გვ.5

„დიდი შანსი იყო, რომ გზაში მოვეკალი“



გვ.3

## „სააკაშვილის განცხადება სასამართლოს შესახებ აღსარება იყო“

ლევან ალაფიშვილი: „მოსამართლეთა ამ კოლეგიის გადაწყვეტილებამ შეიძლება საზოგადოების განწყობა შეცვალოს“

## „ონლაინ კაზინოების აკრძალვა კატასტროფა არ არის“

თორნიკე შარაშენიძე: „ოპოზიციაში აჟიოტაჟია ატეხილი, რომ არიქა, ღარიბაშვილი მიდის! გაუგებარია, რა უხარიათ“



გვ.3

„მედიკამენტებზე ძალიან მაღალი ფასებია. ამას ნამდვილად არ უნდა ექსპერტობა“

## ღარიბაშვილი: „ონლაინ კაზინოების სატელევიზიო და ინტერნეტრეკლამები აიკრძალება“



გვ.2

„ონლაინ თამაშებზე წვდომა 1 მილიონ ადამიანს შეეზღუდება“

## „ნაციონალური ხელისუფლება ... “

## „ნაცმოძრაობა ყოველთვის ქვეყნის ამომგდები იყო“



გვ.4

გიგლა ბარამიძე: „ხალხის ნაწილი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ნაცსექტა კი თავისას ცდილობს“



გვ.2

## ნიკა გვარამია ჯარჯი წიკლაურის აცილების საკითხს დააყენებს

ISSN 1987-9385

4 შალვა პაპუაშვილი: „სააკაშვილისგან კიდევ ერთხელ მოვისმინეთ საქართველოს ალტერნატიული ისტორია“

5 ზურაბ ზვიადაური ციხიდან გამოუშვეს

3 საქართველოს დელეგაცია პრემიერ-მინისტრის მეთაურობით დღეს ბრიუსელში გაემგზავრა

5 ტყიბულის მაღაროში დაშავებული ვიტალი ტურძილაძე გარდაიცვალა

# „სააკაშვილის ბოდიში მის სიძლიერეზე მეტყველებს“

## ზაალ უდუმაშვილი: „ჩვენთვის ვადამდელი და სააკაშვილის განთავისუფლება თანაბრად პრიორიტეტულია“

იაგო ნაცვლიშვილი



გუშინ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი გაიმართა. პრეზიდენტმა მოქალაქეებს მიმართა და მათ შორის ბოდიშიც მოიხადა მისი მმართველობისას დაშვებული შეცდომების გამო. პროცესს თან ახლდა ექსცესები სასამართლოს ეზოში, პოლიციამ გამოიყენა წიწაკის სპრეი და დააკავა მოქალაქეები.

გუშინდელი მოვლენებისა და ოპოზიციის გეგმის შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **ზაალ უდუმაშვილი** საუბრობს.

***– რა გითხრათ გუშინდელმა დღემ, როგორც სასამართლო პროცესმა, ისე სასამართლოს შენობაში განვითარებულმა მოვლენებმა და პოლიციასთან შეტაკებებმა?***

– რაც შეეხება სასამართლო პროცესს, მისი კომენტირებისგან თავს შევიკავებ. იმიტომ, რომ პროცესი რეალურად არც ყოფილა. უბრალოდ მიხეილ სააკაშვილმა წარმოთქვა თავისი სიტყვა. დანარჩენი... ივანიშვილის სასამართლოსგან დიდი მოლოდინი რომ არ გვაქვს, ეს, მე მგონი, გასაგებია, მაგრამ მოსამართლის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზეა ალბათ დამოკიდებული, რამდენად შეძლებს ის, რომ წნეხისგან გათავისუფლდეს, რომელიც დღეს არის სასამართლოში.

***– მე პირადად უფრო პესიმისტური მოლოდინი მქონდა. პროცესის მიმდინარეობისას ვნახეთ, რომ ბრალდება ითხოვდა, რომ სააკაშვილს არ მისცემოდა სიტყვის დასრულების უფლება, მაგრამ სასამართლომ არ გაითვალისწინა ეს. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ეს კონკრეტული მოსამართლეები მაინც ცდილობენ სახის შენარჩუნებას?***

– ვნახოთ. ჯერ ადრეა მსჯელობა. პროცესის მიხედვით გამოჩნდება, შემდეგ სხდომებზე უფრო გამოიკვეთება, რამდენად შეძლებენ, რომ ეს ყველაფერი დაიცვან ისე, როგორც პირველ პროცესზე იყო. შესაბამისად გამიჭირდება, რომ პირველი პროცესის შემდეგ რაიმე შეფასება გავაკეთო მოსამართლის გადაწყვეტილებების შესახებ. თუმცა, ის ფაქტი, რომ, მაგალითად, მოსამართლემ პირდაპირი ტრანსლირების საშუალება მისცა ტელევიზიებს, ეს მისასალმებელია. იმიტომ, რომ მთელი საზოგადოების ყურადღება სწორედ ამ პროცესის მიმართ იყო. მნიშვნელოვანი იყო, რომ პირდაპირი ტრანსლაცია ყოფილიყო. ეს მოთხოვნა და შუამდგომლობა რომ დაკმაყოფილდება, ეს მხოლოდ დადებითია.

***– ეს ხალხის პროტესტის გამოც ხომ არ მოხდა?***

– მათ შორის ალბათ პროტესტმაც თავისი შედეგი გამოიღო. ბუნებრივია ეს, იმიტომ, რომ ათასობით ადამიანი იყო შეკრებილი გარეთ, რომელიც ელოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები სასამართლო დარბაზში. მაგრამ, ფაქტია, რომ დღეს პოლიცია მაქსიმალურად ცდილობდა, რომ პროვოკაციაზე კვლავ წამოეგო ეს ხალხი, რომელიც იქ იყო შეკრებილი.

დავიწყოთ იქიდან, რომ დაერივნენ ოპერატორებს, რომლებიც საერთოდ ღობეზე იდგნენ, სასამართლოს შენობის გარეთ. უბრალოდ, ღობეზე იყვნენ ასულები და კადრებს იღებდნენ. ოპერატორის მთავარი მოვალეობაა, რომ კარგი კადრი ჰქონდეს. დაიწყეს მათი ჩამოყრა. შემდეგ ჩვენი თანამებრძოლები ავიდნენ ჯიხურის თავზე, რომელიც ცარიელი იყო, შიგნით არავინ იყო, რომ ვთქვათ, ვინმესთვის დისკომფორტი შეექმნათ. მერე ყველამ დაინახა, როგორც დაიწყეს იქიდან ჩამოყრა და ა. შ. მერე, მოულოდნელად დაიწყო რაღაც სითხის შეფრქვევა სახეებში, აქციის ძალიან ბევრი მონაწილე დაზიანდა. მათ აღმოუჩინა სასწრაფომ დახმარება და ამის შემდეგ დაიწყო დაკავებების ტრადიციული სერია. ბევრი ადამიანი დააკავეს, მათ შორის გიგი უგულავაც. ტრადიციულად ძალის დემონსტრირების მცდელობა იყო ძალოვნების მხრიდან.

***– სააკაშვილმა მოიხადა ბოდიში. მოსალოდნელი იყო თქვენთვის?***

– ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მიხეილ სააკაშვილი საუბრობს ღიად იმ შეცდომებზე, რომელიც მისი მმართველობის პერიოდში იყო დაშვებული, რაც მხოლოდ და მხოლოდ მის სიძლიერეზე მეტყველებს. ის მზად არის, აბსოლუტურად ღიად ისაუბროს ყველა იმ შეცდომაზე, რომელიც იყო დაშვებული და, ბუნებრივია, რომ შეცდომები იყო, ამას არავინ არ უარყოფს. როდესაც საქმეს აკეთებ, ბუნებრივია, მოგდის შეცდომებიც, მთავარია, რომ აღიარო ეს ყველაფერი. ეს არ ყოფილა ჩემთვის სიურპრიზი, რაზეც მიხეილ სააკაშვილი საუბრობდა.

***– კი ბატონო, მთავარია აღიარო და საზოგადოებაც დაარწმუნო იმაში, რომ ეს აღიარება გულწრფელია და იგივე შეცდომებს აღარ გაიმეორებ. თქვენ დაარწმუნეთ ხალხი იმაში, რომ ის გადაცდომები აღარ განმეორდება?***

– საზოგადოება ყველაფერს ხედავს ძალიან ნათლად. ის მიმართულებები, რომელიც ჩვენ გვაქვს აღებული, პრაქტიკულად გამორიცხავს ისეთი შეცდომების დაშვებას, რომლის გამოცდილებაც გვაქვს. ჩვენი მთავარი მოთხოვნა სასამართლო სისტემის რეფორმაა. მთავარი მიზანი ძალოვანი სტრუქტურების ძირეული რეფორმაა, სწორედ იმიტომ, რომ არ მოხდეს ძალის ისეთი კონცენტრირება, როგორიც დღეს არის, ან როგორიც წინა ხელისუფლების დროს იყო, იმ კონკრეტულ უწყებაში. ამიტომ, ეს ბევრჯერ გვითქვამს და ხელიც გვაქვს მოწერილი სხვა პარტიებთან, რომ ეს უნდა გაკეთდეს პირველი, როგორც კი ხელისუფლება შეიცვლება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება კოალიციური ხელისუფლება და ერთ ხელში არ იქნება ხელისუფლება კონცენტრირებული. პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, ეს უნდა იყოს რეფორმები როგორც სასამართლო სისტემაში, ისე ძალოვან უწყებებში.

***– ეს ნაბიჯი გადაიდგა – სააკაშვილმა მიმართა საზოგადოებას. ოპოზიცია რას აპირებს ამის შემდეგ?***

– ახლა უკვე უნდა დავიწყოთ ბრძოლა და მუშაობა მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით და ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა, რაც არის ჩვენი მთავარი ამოცანა.

***– როგორ უნდა დაიწყოთ? ეს არის მთავარი კითხვა.***

– მათ შორის საპროტესტო აქციებითაც, იმიტომ, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, სხვა სასაუბრო ენა „ქართულ ოცნებას“ არ ესმის. ყველანაირი სამართლებრივი მექანიზმი ჩაკეტილი აქვს, არავის ყურს არ უგდებს, არც ჩვენ და არც დასავლეთს. ჩვენ ამას ყველა კარგად ვხედავთ, რომ ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნახევარი საქართველოს მტრებად გამოაცხადეს. ბუნებრივია, რომ ეს ცხადყოფს იმას, რომ ქვეყანაში სასწრაფოდ ცვლილებებია გასატარებელი. მათ შორის, ყველა პლატფორმას გამოვიყენებთ, რაც არსებობს.

***– კი ბატონო, გამართავთ დიდ აქციას, ქუჩაში გამოვა ბევრი ადამიანი, მაგრამ რა შეიცვლება ამით, მაშინ, როცა ხელისუფლებას არ ესმის მაინც?***

– არა, უნდა გავაგებინოთ. ხომ გახსოვთ, რომ ადრე, როდესაც იყო მძლავრი აქციები, მას მოუწია უკანდახევა. ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ, სხვანაირად არ არსებობს. შენ თუ არ აიძულე ხელისუფლება თუნდაც შენი საპროტესტო აქციებით, თუნდაც მუდმივი დისკომფორტით, რომელიც მათ ექმნებათ, სხვა ფორმა არ ვიცი. არსებობს სხვა პოლიტიკური ფორმა გარდა ამისა?! სასამართლო უზურპირებული აქვთ, ძალოვანი უწყებები ერთი ადამიანის ხელშია, ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი მთლიანად მის ხელშია. დარჩენილია ოპოზიცია, რომლის მთავარი ბერკეტიც ახლა სწორედ პროტესტია.

***– ბოლოს მოკლედ მითხარით, რომელია მთავარი საკითხი – სააკაშვილის განთავისუფლება თუ ვადამდელი არჩევნები?***

– „ნაციონალური მოძრაობა“ ამ საკითხს ასე ვერ დავყოფდით, რომ ერთი მთავარია და მეორე მეორეხარისხოვანი. სააკაშვილის გათავისუფლება და ვადამდელი არჩევნები ერთმანეთზეა გადაბმული. იმიტომ, რომ ბუნებრივია, ქვეყნისთვის მთავარი ამოცანაა ის, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს, მივიდეთ და ავირჩიოთ ახალი ხელისუფლება. მე მგონი იმასაც ვერავინ უარყოფს, რომ მიხეილ სააკაშვილს ამ პროცესში შეუძლია ძალიან დიდი როლის თამაში. ბუნებრივია, ეს ორი საკითხი ჩვენთვის თანაბრად პრიორიტეტულია.

# ღარიბაშვილი: „ონლაინ კაზინოების სატელევიზიო და ინტერნეტრეკლამები აიკრძალება“

## „ონლაინ თამაშებზე წვდომა 1 მილიონ ადამიანს შეეზღუდება“

გუშინ, 29 ნოემბერს, პრემიერმა ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე ონლაინ კაზინოებთან დაკავშირებულ ახალ რეგულაციებზე ისაუბრა.

– ონლაინ სათამაშო ბიზნესისთვის გათვალისწინებული იქნება ახალი საგადასახადო დაბეგვრის მექანიზმის შემოღება და ჯამურად, სექტორის გადასახადების დასაბეგრი ბაზა გაიზრდება 65-70%-ით.

მეორე საკითხი – ასაკობრივი ზღვარი – 25 წლამდე აეკრძალება აზარტულ თამაშებში მონაწილეობის მიღება ჩვენს მოქალაქეებს და აქაც, გაწერილი გვაქვს დეტალურად, თუ ვის შეეხება აღნიშნული შეზღუდვა – ესენი არიან სოციალურად დაუცველი პირები, რომლებიც დახმარებას იღებენ სახელმწიფოსგან, საჯარო მოხელეები, პირები, რომლებიც მიმართავენ შემოსავლების სამსახურს თვითშეზღუდვის მექანიზმის გამოყენების მოთხოვნით და ასევე პირები, რომლებიც მოხვდებიან ე.წ. შავ სიაში სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ოჯახის წევრების მოთხოვნით.

ჯამში, პირთა წრე, რომელთაც შეზღუდული ექნება წვდომა აზარტულ თამაშებზე, შეადგენს 1 მილიონამდე სრულწლოვან ადამიანს.

რაც შეეხება კონტროლის მექანიზმებს, აქაც კარგად გვაქვს გაწერილი შესაბამისი მექანიზმები.

მესამე საკითხი – რეკლამის შეზღუდვა – აიკრძალება სათამაშო ბიზნესის ყველანაირი სატელევიზიო რეკლამა, ასევე გარე რეკლამა და ქართულ ვებ-გვერდებზე რეკლამის განთავსება. სათამაშო ბიზნესის ოპერატორებისთვის დასაშვები იქნება მხოლოდ სპონსორობის ხელშეკრულების გაფორმება და ძირითადად შეიძლება სპორტს შეეხოს აღნიშნული დაშვება, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.



მთავრობის მეთაურის თქმით, ფარმაცევტული ბაზრის რეგულაციებთან დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტს დეკემბერში წარედგინება.

– დაპირებისამებრ, აქტიურად ვმუშაობთ, ჯანდაცვის მინისტრი მუშაობს ფარმაცევტული ბაზრის რეგულაციებზე. შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა, კანონპროექტი დეკემბერში იქნება წარდგენილი პარლამენტში. ასეთია ჩვენი სურვილი და ჩვენ, რა თქმა უნდა, პარლამენტთან ერთად, ინტენსიურად ვიმუშავებთ ამ საკითხზე, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

გარდა ამისა, მთავრობის გადაწყვეტილებით, იწყება საპარტნიორო ფონდის რეფორმა, კერძოდ, მოხდება ფონდის რესტრუქტურიზაცია და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტში დეკემბერში დარეგისტრირდება.

პრემიერ-მინისტრი მთავრობის გუშინდელ სხდომაზე კიდევ ერთხელ გამოეხმაურა ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებელს, რომელიც, მისი შეფასებით, რეგიონსა და ევროპაში უპრეცედენტოა.

– ოქტომბრის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი არის 7%-მდე, რაც ჯამში 10 თვეში 10,5% გამოდის. ეს მართლაც უნიკალური, უპრეცედენტო ზრდაა მთელ რეგიონში და არა თუ რეგიონში, მთელ ევროპაში, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ამასთან, დეკემბრის დასაწყისში, სამუშაო ჯგუფი, ვიცე-პრემიერ ლევან დავითაშვილის ხელმძღვანელობით, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში გაემგზავრება და ჩამოიტანს საუკეთესო გამოცდილებას ევროპის იმ ქვეყნებიდან, ვინც სოციალური პოლიტიკის რეფორმა განახორციელა.

– ვფიქრობ, ესეც სასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მოსახლეობისთვის, – აღნიშნა პრემიერმა.

# ნიკა გვარამია ჯარჯი წიკლაურის აცილების საკითხს დააყენებს



მიხეილ სააკაშვილის უფლებადამცველი ნიკა გვარამია წერს, რომ მომდევნო სასამართლო პროცესზე პროკურორ ჯარჯი წიკლაურის აცილების შუამდგომლობას დააყენებს.

„პროკურორი“ ჯარჯი წიკლაური აცხადებს:

28 წლის ბიჭი მოკლეს წამებით, ყელი გამოჭრეს, ეს დასტურდება ჩვენი მტკიცებულებებით და ამაზე ბრალდებული სააკაშვილი გვითითებს, რომ ეს არის „პიარული“, – ამის შესახებ პროკურორმა ჯარჯი წიკლაურმა განაცხადა, როდესაც სანდრო გირგვლიანთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილის განცხადებას გამოეხმაურა.

ამასთან, პროკურორის განცხადებით, 7 ნოემბრის საქმეს სააკაშვილმა მანიაკალური გამოძიება უწოდა, „საქმეს, რომელსაც 100 დაზარალებული ადამიანი ჰყავს, რომელთაგან დღეს ბევრი უკვე ცოცხალიც აღარ არის“.

„ჩვენი განსახილველი საქმე სასამართლოს კარგად მოეხსენება, რომ პირველ რიგში, გირგვლიანის საქმეს ეხება. იმიტომ, რომ გააშუქა „ტელეიმედმა“ ეს საქმე, ამიტომ დაარბიეს. გირგვლიანის საქმეზე დღეს მოვისმინეთ, რომ არის მოგონილი და „პიარული“ საქმე“ – განაცხადა პროკურორმა.

გეკითხებით ყველა პროფესიონალ იურისტს და უბრალოდ ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანებს: ამ განცხადებას რა ჰქვია? რაიმე კავშირი აქვს საქმის განხილვასთან ამ პოლიტიკურ და მორალური დამუნათების ტექსტს? სხვა რა არის პოლიტიკური მიკერძოება?!

ამაზე პასუხის გაცემა მოსამართლეებსაც მოუწევთ, რადგან პირველი, რასაც შემდეგ პროცესზე გავაკეთებ, ამ სამარცხვინო და არაკვალიფიციური „პროკურორის“ აცილებას დავაყენებ“ – წერს ნიკა გვარამია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ონლაინ კაზინოების აკრძალვა კატასტროფა არ არის“

## თორნიკე შარაშენიძე: „ოპოზიციაში აჟიოტაჟია ატეხილი, რომ არიქა, ღარიბაშვილი მიდის! გაუგებარია, რა უხარიათ“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, „ქართული ოცნების“ ირგვლივ აგორებული ხმები და ტყუილ-მართალი მათი მოსვლის დღიდან აქტუალურია. პერიოდულად აგორდება ხოლმე ხმები, თუნდაც ბიძინას საქართველოდან წასვლისა არ იყოს, რომ დიდი ამბებია „ოცნებაში“, ბიძინა საქართველოდან გაიქცა, ახლა ღარიბაშვილი უნდა გადააყენონ, თუმცა მერე ვხედავთ, რომ ეს ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდება. ამ ფონზე კი პრემიერი ახალ-ახალი ინიციატივებით გამოდის და საკმაოდ წარმატებული კურსი უჭირავს. „ოცნებას“ უგორებს პიარს ოპოზიცია თუ რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე?***

– სიმართლე გითხრათ, არც ის გამიკვირდება, რომ მიზანმიმართულად აძლიერებდეს ოპოზიცია ხელისუფლებას. უკვე იმდენ სისულელეს ვისმენთ, რომ ბოლოში ეს სისულელეები, რომელიც არ ახდება, იწვევს ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის იმედგაცრუებას. ისევ და ისევ „ოცნება“ გამოდის ამ ყველაფრიდან გამარჯვებული. ზოგიერთმა ოპოზიციურმა მედიამ თავის თავს უნდა დააბრალოს, რაღაც სიგიჟეს აიტაცებენ ისეთს, არც კი დაფიქრდებიან, რამდენად არის ეს საღ აზრთან ახლოს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ხომ უნდა დაფიქრდნენ საღ აზრში რამდენად ჯდება. რა ზღაპრები არ მოვისმინეთ, ივანიშვილის ქვეყნიდან გაქცევის შესახებ.

***– მერე უკვე ღარიბაშვილის გადაყენების შესახებ აგორდა ხმები.***

– დავუშვათ მოხსნეს, მაგრამ სხვა ვინ მოხსნის თუ არა ბიძინა. შესაბამისად, რა მნიშვნელობა აქვს, ღარიბაშვილს მოხსნის ბიძინა და მის ადგილას სხვას მოიყვანს, ამით იცვლება რამე?! არ მესმის რამდენიმე დღე ამის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი.

***– ის ინიციატივები, რომლებსაც ბოლო პერიოდია აქტიურად აჟღერებს ღარიბაშვილი, ბიძინასგან მოდის თუ თავად ღარიბაშვილი ცდილობს კარგად წარმოჩინდეს?***

– არა მგონია ასეთ დონეზე ერეოდეს ივანიშვილი, რომ აზარტული თამაშების შეზღუდვა და ონლაინ კაზინოების შეზღუდვა მისი ინიციატივა იყოს. მე არ ვფიქრობ, რომ ბიძინა ამ დონეზე ერეოდეს საერთო საქმეში.

***– ზოგადად ამ ინიციატივებზე რას ფიქრობთ? რამდენად სწორი და დროული იყო?***

– ბევრი მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა, თუმც ეს ნაკლებად საინტერესოა. ფაქტია, რომ ინიციატივა კარგია..

***– მილიონამდე არასრულწლოვანს აეკრძალება ონლაინ კაზინოსა და ტოტალიზატორზე წვდომა. ეს ბევრს უნდა მოეწონოს არა?***

– კი, ასეა. ხალხს ნამდვილად მოეწონება. ონლაინ კაზინოებს თუ არ მოეწონებათ თუ ფული მოაკლდებათ, უკაცრავად, მაგრამ, აი დარდი! კაზინოებს თუ ფული მოაკლდება, ეს ხალხს არ ადარდებს. უბრალო ხალხს ადარდებს, მაგალითად, ხალხს რომ ასახლებენ სახლებიდან ამ იდიოტური ვალების გამო! ეს ინიციატივა საბოლოო ჯამში ამომრჩევლის გულს მოიგებს. კაზინოები არ იკრძალება, ფსონები არ იკრძალება. მე ასე მგონია. ონლაინ კაზინოების აკრძალვა კატასტროფა არ არის ბიზნესისთვის.

***– გაწერილი გეგმასავით წარმოადგინა, იქ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სოციალურად დაუცველებისთვის ახალი კამპანია იწყება და ეს ყველაფერი პიარის ნაწილია?***

– არჩევნები დამთავრდა, პიარი და წინასაარჩევნო კამპანია ახლა არ სჭირდებათ. ეს გათვლილია მათი ამომრჩევლის გულის მოგებაზე. ახლა მიდის პოზიციების გამყარებაზე მუშაობა. თუმცა ეს ინიციატივები, რაც მე მოვისმინე, ყველა მისაღები და მისასალმებელია. არჩევნები მოიგეს, მაგრამ მაინც საჭიროა ადამიანების გულის მოგება. ნეიტრალურების მაინც. ნაციონალური მოძრაობის მომხრეების გულს რომ ვერ მოიგებს, ეს ცხადია. ინიციატივები ნამდვილად მოსაწონია.

***– ასევე ფარმაცევტულ ბიზნესსაც შეუტია პრემიერმა. გაკეთდა განცხადება, რომ საკმაოდ მაღალია ფასი მედიკამენტებზე. ამან გაანაწყენა კახა ოქრიაშვილი, რომელი ექსპერტი გვყავს ამ დარგის ღარიბაშვილიო. მათაც შეუტიეს?***

– მედიკამენტებზე ძალიან მაღალი ფასებია. ამას ნამდვილად არ უნდა ექსპერტობა ამ სფეროში. ნებისმიერი ადამიანი, ვინც თურქეთში მაინც არის ნამყოფი, დაგემოწმებათ, რომ მინიმუმ სამჯერ იაფია იქ იგივე მედიკამენტები. რატომ უნდა იყოს იქ სამჯერ უფრო იაფი?! ამერიკაში ხომ გაცილებით იაფია. რათ უნდა ამას ექსპერტობა? ოქრიაშვილმა რომ დაიჩემა, არ არის ღარიბაშვილი ამის ექსპერტიო. ფაქტია, რომ ძალიან ძვირია. ამ ნაბიჯითაც იგებს მთავრობა, ტყუილს არაფერს ამბობენ, ყველამ იცის, რომ მედიკამენტები ძვირია.

***– თუმცა კრიტიკოსები უსვამენ კითხვას, სად იყო აქამდე პრემიერი? რა, ახლა გაძვირდა მედიკამენტები?***

– ეგ სხვა ამბავია ნამდვილად და ესეც მართალია.

***– წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო, ღარიბაშვილის ბოლო გაფართხალებააო და უამრავ ასეთ შეფასებას ვისმენთ.***

– სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ მესმის, რატომ არის ამხელა აჟიოტაჟი ატეხილი ოპოზიციაში, რომ არიქა, ღარიბაშვილი მიდის! გაუგებარია, რა უხარიათ. ის წავა და სხვას მოიყვანს. ამით ოპოზიციისთვის რა იცვლება?! მათ ფონზე ხელისუფლება კიდევ უფრო უკეთ გამოიყურება და იმყარებს პოზიციებს.

***– სააკაშვილის პროცესთან დაკავშირებითაც ერთი ამბავი იყო ატეხილი, თუმცა ვნახეთ, რომ გუშინ ის პროცესზე მიიყვანეს.***

– სააკაშვილზე ერთი, რაც შეეშალათ, ეს



### „მედიკამენტებზე ძალიან მაღალი ფასებია. ამას ნამდვილად არ უნდა ექსპერტობა“

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# საქართველოს დელეგაცია პრემიერ-მინისტრის მეთაურობით დღეს ბრიუსელში გაემგზავრა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, დავით ზალკალიანის ინფორმაციით, დღეს საქართველოს დელეგაცია პრემიერ-მინისტრის მეთაურობით ბრიუსელში გაემგზავრა, სადაც დაგეგმილია ასოცირებული ტრიოს – საქართველო, უკრაინა, მოლდოვის პრემიერ-მინისტრების შეხვედრა ევროკავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან.

როგორც ზალკალიანმა აღნიშნა, ასოცირებული ტრიოს სურვილია ჰქონდეს წვდომა ევროკავშირის ერთიან ეკონომიკურ სივრცესთან, ასევე გააქტიურდეს სექტორული თანამშრომლობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჩვენი ფიზიკური ინტეგრაცია ევროკავშირში.

„როგორც მოგეხსენებათ, ასოცირებული ტრიოს ფორმატი გასული წლის მაისში კიევში დაფუძნდა. მას შემდეგ პირველი ვიზიტი გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე და ეს არის მეორე, უფრო მაღალი დონის ვიზიტი პრემიერ-მინისტრების ფორმატში. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმ დიდ მნიშვნელობაზე, რასაც ჩვენ ევროკავშირში ინტეგრაციას ვანიჭებთ. ვიზიტი აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტამდე რამდენიმე კვირით ადრე იმართება. როგორც იცით, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი 14-15 დეკემბერს გაიმართება.



რაც შეეხება ბრიუსელში დაგეგმილ შეხვედრას, ეს ვიზიტი იქნება მაქსიმალურად გამოყენებული იმისთვის, რომ ევროკავშირის ხელმძღვანელობასთან იყოს განხილული ის პრიორიტეტული მიმართულებები და მოლოდინები, რაც ასოცირებული ტრიოს პრემიერ-მინისტრებს აქვთ დაგეგმილ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტთან დაკავშირებით.

ჩვენ აუცილებლად გვსურს, რომ ვიხილოთ საბოლოო დეკლარაციაში საქართველოს ევროპული არჩევანი და ევროპული მისწრაფება, ასევე ვიხილოთ მხარდაჭერილი ის ძირითადი პრინციპი, რაც არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტთან და ტერიტორიულ მთლიანობასთან. ასევე ასოცირებული ტრიოს სურვილია ჩვენ გვქონდეს წვდომა ევროკავშირის ერთიან ეკონომიკურ სივრცესთან, ასევე გააქტიურდეს სექტორული თანამშრომლობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჩვენი ფიზიკური ინტეგრაცია ევროკავშირში. ეს ვიზიტი იქნება მაქსიმალურად გამოყენებული იმისთვის, რომ ჩვენი მოლოდინები აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტთან მიმართებაში იყოს ადეკვატურად შეფასებული და ვიხილოთ კონკრეტული შედეგები საბოლოო დეკლარაციაში“ – განაცხადა ზალკალიანმა.

# „სააკაშვილის განცხადება სასამართლოს შესახებ აღსარება იყო“

## ლევან ალაფიშვილი: „მოსამართლეთა ამ კოლეგიის გადაწყვეტილებამ შეიძლება საზოგადოების განწყობა შეცვალოს“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, როგორ აფასებთ მოსამართლეთა კოლეგიის გადაწყვეტილებას, რომ მიხეილ სააკაშვილს მიეცა შესაძლებლობა პოლიტიკური განცხადება გაეკეთებინა პროცესზე მიუხედავად პროკურორების წინააღმდეგობისა?***

– თავისთავად ეს პროცესი ისტორიული და მნიშვნელოვანი არის ძალიან ბევრი კუთხით. ცხადია, პირველ რიგში განსასჯელის სტატუსის გამო, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ კოლეგიას, ამ საქმის განმხილველ მოსამართლეებს, აქვთ ისტორიული შანსი, რომ საზოგადოებას დაანახონ, ისინი, ყველაფრის მიუხედავად, არიან დამოუკიდებლები და მათ მიიღეს ობიექტური გადაწყვეტილება. ამით, მათ ეძლევათ შანსი, არათუ საკუთარი პერსონალური იმიჯი შეიქმნან თუ გამოასწორონ, არამედ ქვეყნის დემოკრატიულობა, რომელიც ასე არის დაზიანებული, იხსნან კატასტროფული განადგურებისგან.

ამ პროცესზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ვგულისხმობ როგორც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ისე დემოკრატიის განვითარების მიმართულებით. განსაკუთრებით, იმ ფონზე, როდესაც სტრატეგიული პარტნიორების მოთხოვნას, რომ სასამართლო რეფორმა დემოკრატიის სტანდარტების



შესაბამისად წარიმართოს, ხელისუფლება არ ითვალისწინებს და აგრძელებს მათი მოწოდების მიუხედავად დანიშვნების პროცესს.

რაც შეეხება კონკრეტულ კოლეგიას, მე ვიცნობ ამ მოსამართლეებს და დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ამ უდიდეს პასუხისმგებლობას კარგად აცნობიერებენ. მინდა მჯეროდეს და იმედია არ გამიცრუვდება მოლოდინი, რომ სასამართლო ყველა სტანდარტის დაცვით აღასრულებს მართლმსაჯულებას.

***– უშვებთ შესაძლებლობას, რომ მოსამართლეთა ეს კოლეგია მართლაც იყოს თავისუფალი დირექტივებისგან?***

– ეს იქნება დამოკიდებული ბევრ რამეზე, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საზოგადოების აღქმას. ე.წ. გახმაურებული საქმეები, საქმეები, რომლებიც ეხება პოლიტიკოსებს, პირდაპირ წარმოაჩენენ საზოგადოებაში არსებულ აღქმებს, რომელსაც ან განამტკიცებენ, ან პირიქით, ცვლიან. ერთ-ერთი ასეთი საქმე უდავოდ არის აღნიშნული საქმე. ამიტომ ვამბობ, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება მოსამართლეთა ამ კოლეგიის გადაწყვეტილებას, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს საზოგადოების აღქმაზე, საზოგადოების განწყობაზე.

***– გამოდის, ამ გადაწყვეტილებას 90 გრადუსით შეუძლია შეცვალოს სასამართლო სისტემაზე არსებული განწყობა?***

– რა თქმა უნდა, სწორედ ამაზეა საუბარი. საზოგადოების აღქმაზე გავლენა ცალსახად შეუძლია ამ საქმის გადაწყვეტილებას.

***– მიხეილ სააკაშვილმა პროცესზე განაცხადა, პირველ რიგში ჩემი შეცდომა ეს სასამართლოა, რომელიც შეეხო ბევრ ჩემს თანამემამულეს და მეხება ახლა მე.***

– გარკვეულწილად ეს აღსარებაა. როგორ მახსოვს ის ენთუზიაზმი, ახალგაზრდა რეფორმატორთა ჯგუფის მიერ დაწყებული სასამართლო სისტემის რეფორმა და ისიც კარგად მახსოვს სამწუხაროდ, როგორ შუა გზაში იქნა ეს ყველაფერი მიტოვებული და რამაც ძირი გამოუთხარა სასამართლოს. როგორ დაჭაობდა ეს სისტემა. ეს ყველაფერი ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს მოხდა.

***– რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს. როგორ ფიქრობთ, მიხეილ სააკაშვილის ამ გამოსვლას, რომელიც იყო პოლიტიკური, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე გავლენა ექნება?***

– ზოგადად, პოლიტიკოსთა გამოსვლებს, მათ საჯარო ქმედებებს კონკრეტული სამიზნე აუდიტორია ჰყავს. ამ შემთხვევაში უმთავრესი სამიზნე აუდიტორია არის საკუთარი ამომრჩეველი, მხარდამჭერები. ამ მიმართვის მთავარი გზავნილი იყო „ნაციონალური მოძრაობისთვის“ მუხტის მიცემა, კონსოლიდაცია, რომ ბრძოლას აზრი აქვს და ის უნდა გაგრძელდეს.

მიმართვის კიდევ ერთი სამიზნე აუდიტორია იყო საერთაშორისო საზოგადოება. სწორედ ამით იყო განპირობებული უკრაინულ და ინგლისურ ენებზე მიმართვა. ის ცდილობდა დაემტკიცებინა ამ აუდიტორიისთვის, რომ პოლიტიკური დევნის ობიექტია. ეს ორი სამიზნე აუდიტორია შემთხვევით არ ჰყავდა სააკაშვილს შერჩეული. ბუნებრივია, ორივე აუდიტორია თავის გავლენას ახდენს როგორც შიდა პროცესებზე, ისე იმ განწყობებზე, რომელიც დასავლეთში იქმნება. ცხადია, დასავლეთში შექმნილი განწყობები დისკომფორტს შეუქმნის ხელისუფლებას, ისევე, როგორც ქვეყანაში სწორედ ამ ფონზე საპროტესტო აქციები, გამოსვლები, რომელიც იქნება აუცილებლად თანმდევი მთელი ამ პროცესის.



# „ნაცმოძრაობა ყოველთვის ქვეყნის ამომგდები იყო“

## გიგლა ბარამიძე: „ხალხის ნაწილი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ნაცსექტა კი თავისას ცდილობს“

მარიამ მჭედლიშვილი

**29 ნოემბერს ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი პირველად დაესწრო საკუთარ სასამართლო პროცესს, რომელმაც მედიის გარეშე ჩაიარა. სხდომის დროს საქალაქო სასამართლოსთან სააკაშვილის მხარდამჭერები შეიკრიბნენ. მოხდა შეხლა-შემოხლაც. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკოს გიგლა ბარამიძეს.**

***– მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბრის საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესს დაესწრო, განაცხადა, რომ ბრალს არ აღიარებს. რას იტყვით 29 ნოემბრის ამბებზე?***

– სააკაშვილისგან სხვა არც არაფერი იყო მოსალოდნელი. პირდაპირ ანეკდოტია, რომ 7 ნოემბრის საქმეზე სააკაშვილის ადვოკატი არის ნიკა გვარამია – კაცი, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბერს თავად იყო გარეული იმ სისხლიან მოვლენებში, ვინაიდან გენპროკურორის მოადგილედ მუშაობდა. საერთოდ, მიმაჩნია, რომ მედია ზედმეტად აყოლილია ხელოვნურად აგორებულ თემებს. მედიაში ვგულისხმობ იმ საშუალებებს, რომლებსაც ნაცმოძრაობა არ მართავს. ჩემთვის და კიდევ უამრავი სხვა მოქალაქისათვის სააკაშვილი არის პირსისხლიანი ჯალათი, რომელმაც ჩაიდინა ბევრი მძიმე დანაშაული. მას ყველა ბრალდება არა აქვს წარდგენილი და 6 წელი მისთვის ცოტაა. ყურთასმენა წაიღეს მის შიმშილობაზე. ეს ხომ დიდი სიცრუეა! არ უშიმშილია ამ კაცს. შიმშილობაც დადგმული იყო. აგერ, სასამართლო პროცესზე გადაღებული კადრები ვიხილეთ. სააკაშვილი კარგად ნაპატივებია და სისუსტისა არაფერი ეტყობა. მსოფლიოში არ ყოფილა პრეცედენტი, რომ მოშიმშილეს ასეთი სიმულაცია მოეხდინოს. სააკაშვილისთვის შიმშილობის ფალსიფიცირება ძნელი არ არის. წაგებული ომი აზეიმა საზოგადოების ნაწილს და ამას ვერ მოახერხებდა?! ზოგადად, არც ისეა საქმე, როგორც ნაცმოძრაობა და მისი პიარი წარმოგვიჩენს.

***– რას გულისხმობთ?***

– ხალხი (საზოგადოების აბსოლუტური უმეტესობა) თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ნაცსექტა კი თავისას ცდილობს. სასამართლოსთან 29 ნოემბერს შეკრებილმა ნაციონალებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ არეულობა უნდათ. გარდა ამისა, ნაციონალები დღის წესრიგში აყენებენ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხს. უნდათ იმის დამტკიცება, თითქოს ვადამდელი არჩევნების გარეშე ქვეყანა იღუპება. სულ ერთი-ორი ლობისტი ჰყავთ ევროპაში და იმათ წინაშეც უნდათ თავის გამოჩენა და საკუთარი ზრახვების დაცვა. ფაქტია, რომ ნაციონალურ მოძრაობას საზოგადოება გვერდში არ უდგას. ცალკეა მთელი ხალხი და ცალკეა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის სახელით დარბის და კიდევ ირბენს. ნაცმოძრაობა ყოველთვის ქვეყნის ამომგდები იყო. მაგისთვის შეიქმნა.

***– სასამართლოს შენობის გარეთ მიმდინარე მოვლენებს როგორ აფასებთ? აქტივისტები ჩივიან, რომ პოლიციამ ცრემლსადენი გაზი შეასხათ.***



– შეკრებილიყვნენ, მაგრამ მშვიდად. ვინ უშლიდა? პოლიციელებმა გააფრთხილეს, სახურავებზე არ ახვიდეთო. ამათ სახურავებზეც მოუნდათ ახტომა, გზაც გადაკეტეს. სხვათა შორის, ამ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე, აშშ-ის ელჩმა მოუწოდა ოპოზიციას მშვიდი აქციის გამართვისა და დაძაბულობაზე უარის თქმისკენ. მაოხრებელ გზირს რას გააგონებ! ესენი ქვეყნის აოხრებაზე მუშაობენ. პოლიცია იძულებული გახდეს, რამდენიმე ადამიანის მიმართ გამოეყენებინა „წიწაკის სპრეი“. ეგ კი არა, ევროპაში ასეთ დროს წყლის ჭავლს და სხვა რადიკალურ საშუალებებს იყენებენ. ასე რომ, არაფერი ისეთი არ მომხდარა.

***– სასამართლო პროცესებს რომ თავი დავანებოთ, ზოგადად რა ვითარებაა? არის სტაბილურობა?***

– თუ ნაციონალების პიარის საშუალებას მოვუსმენთ და ვუყურებთ, ქვეყანა ინგრევა. სინამდვილეში, ასე არ არის. საზოგადოება თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. ვიცნობ ძალიან ბევრ ადამიანს, რომელიც ამ ე. წ. ოპოზიციურ არხებს საერთოდ არ უყურებს და მხარს არ უჭერს ნაცმოძრაობას. სამი ტელევიზია რომ არ ჰქონდეთ, ეგენი საერთოდ არავის გაახსენდებოდა. ერთი ამბავი აქვთ ატეხილი პოლარიზებაზე.

***– პოლარიზაცია მართლაც ხომ არსებობს?***

– ნაცსექტა ამტკიცებს, რომ ქვეყანა გაყოფილია ორად. არა, ბატონებო. ერთ მხარეს არის ნაცმოძრაობა და რამდენიმე ურეიტინგო პარტია და მეორე მხარეს არის დანარჩენი საქართველო (პარტიულები და უპარტიოები).

***– არსებობს მოსაზრება, რომ სააკაშვილი შეცდომაში შეიყვანა და საქართველოში ჩამოიტყუა მისმა გარემოცვამ, რომელიც ყოფილ პრეზიდენტს არწმუნებდა, მთელი საქართველო გვერდით დაუდგებოდა.***

– ამაზე ჩემი მოსაზრება მაქვს. არასწორია სააკაშვილის უშიშარ გმირად წარმოჩენა. სააკაშვილს აქვს ალღო, მაგრამ არა სიმამაცე. როცა საქართველოსკენ დაიძრა, მას თავისი გათვლები და მიზეზები ჰქონდა. მასაც ეგონა, რომ უფრო მეტი მხარდამჭერი ეყოლებოდა, გარემოცვაც ეძახოდა, მაგრამ მოვლენები სხვანაირად განვითარდა – არც შიგნით აღმოაჩნდა მხარდამჭერი და არც – გარეთ. მისმა მომხრე ევროპარლამენტარმა ფოტიგამაც კი ურჩია, არ ჩამოსულიყო. სააკაშვილს პრობლემები აქვს უკრაინაში. უკრაინის ყოფილმა მთავარმა პროკურორმა ლუცენკომ საჯაროდ განაცხადა, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ არსებობს მასალები და დასაბუთებული ეჭვი, რომ მან რუსეთიდან აიღო მილიონები უკრაინაში არეულობის მოსაწყობად. უკრაინაში აღარ დაედგომებოდა. საერთოდ, უკრაინაში თავი ვერაფრით გამოიჩინა. საკუთარი თავის გაპიარების გარდა, არაფერი გაუკეთებია არც ერთ თანამდებობაზე. უკრაინაში სააკაშვილს მხარდამჭერები არ ჰყავს.

***– საქართველოში ამიტომ ჩამოვიდა?***

– ეგონა, რუსთაველზე მრავალრიცხოვან მიტინგს შეუერთდებოდა. არ გამოუვიდა. შემოპარული სააკაშვილი ჩუმად უნდა მისულიყო მიტინგზე, სადაც მისი დაკავება ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა. 2003 წლის მოვლენები, რომელსაც რევოლუცია დაარქვეს, სინამდვილეში იყო სახელმწიფო გადატრიალება. მოხდა დიდი უკანონობა და თაღლითობა – ახლიდან გაიმართა მხოლოდ პროპორციული არჩევნები, მაჟორიტარები დატოვეს. სააკაშვილს როგორც აწყობდა, ისე გააკეთეს. ეგ ყოველთვის ქვეყნის ამომგდები იყო.

---

ქ. თბილისის მერს

## ბ-ნ კახა კალაძეს

**ბატონო კახა,**

ვეხმიანებით თქვენს ბრწყინვალე ინიციატივას ვაკის პარკის ტერიტორიაზე გმირების მემორიალის დადგმის თაობაზე და გთავაზობთ ჩვენს მოსაზრებას.



საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ ოციოდე წლის წინ ცნობილმა გამომგონებელმა თამაზ ქვლივიძემ დედაქალაქის მერიას არაერთხელ შესთავაზა შესანიშნავი იდეა – გმირთა მოედანზე ან თუნდაც ზოოპარკის ტერიტორიაზე, **მისი გადატანის შემთხვევაში**, აღიმართოს დავით აღმაშენებლის 36-წლიანი გმირული მოღვაწეობის აღსანიშნავად 36-საფეხურიანი კიბის მემორიალი. დაწყებული 1-ელი საფეხურით 1089 წლიდან და დამთავრებული 36-ე საფეხურით 1125 წლამდე.

მაგალითად:

1-ელ საფეხურზე წარწერა – 1089 წელი – 16 წლის დავითის გამეფება, რომელმაც თავის თავს აუკრძალა დატკბეს მეფური ცხოვრებით.

მე-2 საფეხურზე – 1090 წელი – დაამკვიდრა ღირსეულთა ამაღლებისა და უღირსთა დამდაბლების მმართველობის სტილი.

32-ე საფეხურზე – 1121 წელი – დიდგორი ძლევაი საკვირველი

33-ე საფეხურზე – 1122 წელი – მტრის 400 წლის ტყვეობაში მყოფი თბილისის ქართველებისთვის დაბრუნება.

36-ე საფეხურზე კი – 1125 წელი – 53 წლის დავითის გარდაცვალება.

ამ ადგილზე მემორიალის აღმართვა სიმბოლურია იმითაც, რომ ადგილს ეწოდება გმირთა მოედანი და იქ დგას გმირთა მემორიალი, იქვე, ზოოპარკის ადგილას გმირთაგმირი მეფის მემორიალის დადგმით და გარშემორტყმული სახელოვანი მეფეებით და გმირებით კი შეიკვრება ერთიანი კომპლექსი.

თამაზ ქვლივიძე იდეას ჩინებულს ხდის იმითაც, რომ ერთგულების ფიცი ახლად არჩეულმა ქვეყნის პრეზიდენტებმა სწორედ აქ, 36-ე საფეხურზე, მეფეთა მეფის მემორიალზე დადონ.

სიამაყით აღსანიშნავია ისიც, რომ ამ იდეას პრესაში გაჟღერებისთანავე 2010-2014 წლებში მოსახლეობისგან მოჰყვა გამოხმაურებები: **„თვალსაჩინო მაგალითი მომავალი თაობებისთვის“ და თანხების გაღების სურვილიც**.

ცხადზე უცხადესია, რომ ამ დიდი, გადაუდებელი, ეროვნული და საშვილიშვილო მისიის შესრულებას სჭირდება სახელმწიფოს კეთილი ნება. სასიხარულოა, რომ თქვენ კეთილი ნებას უკვე იჩენთ.

დარწმუნებულები ვართ, რომ 2025 წლის 25 იანვრისთვის, აღმაშენებლის გარდაცვალების 900 წლის თავზე, ეს საშვილიშვილო საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება და ოქროს შარავანდედით შემოსავს ჩვენს სახელოვან წინაპრებს. პანორამა საქართველოს გახდის კიდევ უფრო მეტად მიმზიდველს, რადგან განვითარებულ ქვეყნებში მოწყობილ მემორიალებს, პატრიოტულ-ემოციური დანიშნულების გარდა, მილიონობით ტურისტის ხილვის დატვირთვაც აქვს.

მემორიალს არა მარტო ესთეტიკური ტკბობის დანიშნულება ექნება, არამედ მისი დედააზრი ერის აყვავების საწინდარი გახდება, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის სულიერი ამაღლების ქვაკუთხედად დამკვიდრდება, რომლის გარეშეც ქვეყნის სტაბილური განვითარება მუდამ გადაულახავ წინააღმდეგობებთან იქნება დაკავშირებული.

მისასალმებელია თამაზ ქვლივიძის შემდეგი მოსაზრებებიც: თბილისში კახა კალაძის ინიციატივით 9 ახალი პარკი რომ კეთდება, ერთ-ერთი პარკი რუსთაველის აფორიზმებით და სტრიქონებით უხვად დამშვენდეს და მას „ვეფხისტყაოსნის პარკი“ ეწოდოს. ერთ-ერთი კი მგოსნების ძეგლებით (სურათებით) გაივსოს და ამ პარკმა პოეტების სახელი ატაროს, სადაც მუდამ კეთილშობილება დაისადგურებს.

**პატივისცემით:**

**პროფესორი ელბერდ ბატიაშვილი, პროფესორი ვაჟა შუბითიძე, პროფესორი სოსო სიგუა, პროფესორი კონსტანტინე მჭედლიშვილი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, აკადემიკოსი ვალერი ასათიანი, აკადემიკოსი რამაზ ხუროძე, პროფესორი ამირან საყვარელიძე, პროფესორი მურმან გელენიძე, პროფესორი იური ქადარია, პროფესორი ზვიად კვიციანი, პროფესორი თამაზ ხმელიძე, პროფესორი იგორ კვესელავა**

---

# „ონლაინ კაზინოების აკრძალვა კატასტროფა არ არის“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

იყო გლდანის ციხეში გადაყვანა. შეურაცხმყოფელი იყო, პირდაპირ დედა აგინეს პატიმრებმა. ეს არ უნდა დაეუშვა, რა დონეზეც არ უნდა მოგწონდეს პატიმარი. მით უმეტეს, როცა იცი, მთელი მსოფლიო უყურებს რა ხდება. ეს რომ არ გაეკეთებინათ, მათ მიმართ სხვა არანაირი შენიშვნა არ იქნებოდა. მიშა მიიყვანეს პროცესზე. ოპოზიციის ადგილას მე მშვიდად ვიქნებოდი, რადგან თუ რამე გართულდება, დაბრალდება ოპოზიციას და ისევ ხელებს დაიბანს „ოცნება“ მშვენივრად და გლდანის ამბებსაც აპატიებენ.

***– რატომ იქცევიან ასე?***

– ვილაცა ქმნის რაღაც მაღალ ილუზიებს. როგორც ჩანს, რეალობა დაკარგული აქვთ ძალიან ბევრს შიგნით. ოპოზიციაში არიან და თუ შიგნით, ერთმანეთს უპირისპირდებიან და საბოტაჟს უწყობენ, მაშინ კარგად ყოფილა მაგათი საქმე. მე ორი მიზეზით ვხსნი იმას, რაც ნაცმოძრაობაში ხდება, ერთი არის ნაცმოძრაობაში შეკრებილი ადამიანი, რომელსაც მიაჩნია, რომ მთელი სამყარო მათ გარშემო ტრიალებს. მეორე, როგორც ჩანს, ამდენი წელი ოპოზიციაში ყოფნამ გაამარგინალა ეს ხალხი და რეალური სახე დაკარგეს. ჯამში „ოცნებას“ ტოვებენ მოგებულს.

***– როგორ დასრულდება სააკაშვილის საქმე? რამდენად აქვს „ოცნებას“ გეგმა გაწერილი, მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით?***

– პრინციპში ყველაფერი ჯერჯერობით კარგად მიდის. მას ალბათ დააბრუნებენ ისევ რუსთავის ციხეში, რომ იქ მოიხადოს სასჯელი. ახლა ხელახლა თუ დაიწყო შიმშილობა და ხელახლა თუ აგორდა ეს ყველაფერი, ესეც ფასს დაკარგავს. ბოლოს ყველა დაიღლება და ამაზეც აღარ ექნებათ რეაგირება. მერე ატარებენ გორსა და რუსთავს შორის მიშას და ეგ იქნება. ამ სიტუაციაში დრო მუშაობს „ოცნების“ სასარგებლოდ. ასე გამოდის.

---

# შალვა პაპუაშვილი: „სააკაშვილისგან კიდევ ერთხელ მოვისმინეთ საქართველოს ალტერნატიული ისტორია“

– მიხეილ სააკაშვილისგან კიდევ ერთხელ მოვისმინეთ საქართველოს ალტერნატიული ისტორია.

ამის შესახებ ჟურნალისტებთან საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.

რაც შეეხება სააკაშვილის განცხადებას, რომ პუტინის დავალებით არის დაპატიმრებული, პაპუაშვილი აცხადებს, რომ ყველაფერზე პუტინის და რუსეთის არგუმენტად მოშველიება უკვე გაცვეთილია და ამის აღარავის სჯერა.

– მან თქვა, რომ გირგვლიანის საქმე არ არსებობს და ეს იყო პიარი, ასევე 7 ნოემბერი იყო გეოპოლიტიკური საფრთხეებისგან დაცვა. ეს არის ალტერნატიული ისტორიის ნაწილი, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა მმართველობის ცხრა წლის განმავლობაში ყვებოდა, ახლა ისევ აგრძელებენ ისტორიის ასე წარმოჩენას და საკუთარი მხარდამჭერების დაჯერებას. გამონათქვამებიც, ცინიკური მიდგომის ნაწილია, რომ „როცა ხეს ჭრი, ნაფოტები ცვივა“.




სამწუხაროდ, როცა სინანული არ არსებობს, სწორედ ასე ნაფოტებად ხედავენ გირგვლიანს, 7 ნოემბერს დარბეულ ადამიანებს და დანარჩენ მსხვერპლებს. სინანულის ორი აქტი არსებობს – ადამიანური, რომელიც მას არ აქვს და სამართლებრივი სინანული და როგორც ხედავთ, ის არც სამართლებრივად არ ინანიებს მის მიერ ჩადენილ ქმედებებს, – განაცხადა პაპუაშვილმა.

## ზურაბ ზვიადაური ციხიდან გამოუშვეს

თელავის რაიონულმა სასამართლომ 16 აგვისტოს, წინანდლის ტყეში მომხდარი მკვლელობის საქმეზე დაკავებული ძიუდოისტი ზურაბ ზვიადაური და კიდევ ერთი ბრალდებული ჯაბა ჯანგირაშვილი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

სასამართლომ დაკავებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე გუშინ, 29 ნოემბერს, იმსჯელა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ზურაბ ზვიადაური 50.000-ლარიანი გირაოს, ჯაბა ჯანგირაშვილი კი 5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ, სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდნენ.

საქმის პროკურორ ვლადიმერ ბექიშვილის განცხადებით, მათ მხარი დაუჭირეს, რომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა ყოფილიყო გამოყენებული.



როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, გადაწყვეტილებას არ ეთანხმება ბრალდება.

— თელავის რაიონულ სასამართლოში მოსამართლე მამუკა წიკლაურმა განიხილა ბრალდებულ ზურაბ ზვიადაურისა და ჯაბა ჯანგირაშვილის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა. დღეს უწევდათ აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის ძალაში დატოვების მიზანშეწონილობაზე მსჯელობა. ბრალდების მხარემ მხარი დაუჭირა, რომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებულიყო პატიმრობა, რაც დასაბუთებული იყო. მიგვაჩნია, რომ მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება მიზანშეწონილი იყო, თუმცა, მოსამართლემ მკვლელობაში ბრალდებული პატიმრობიდან გაათავისუფლა და მას აღკვეთის ღონისძიების სახით 50 ათასი ლარის ოდენობით გირაო შეუფარდა. არ ვეთანხმებით ამ გადაწყვეტილებას. მიგვაჩნია, რომ აბსოლუტურად საფუძვლიანად ჰქონდა მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეფარდებული, — განაცხადა ბექიშვილმა.

მისი თქმით, სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევა კვლავ გრძელდება. როგორც პროკურორი აღნიშნავს, საქმესთან დაკავშირებით კიდევ უნდა დაიკითხონ მოწმეები და ჩვენება მისცენ.

შემთხვევა სოფელ წინანდლის ტყეში მიმდინარე წლის 16 აგვისტოს მოხდა. ორმხრივი სროლის დროს დაიჭრა 5 პირი, მათ შორის 3 გარდაიცვალა. გარდაცვლილთაგან ერთი ყოფილი დეპუტატის და ოლიმპიური ჩემპიონის ზურაბ ზვიადაურის ძმა, ზვიად ზვიადაური იყო.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ფაქტზე ორი პირი დააკავეს, ყოფილ პარლამენტარს საგამოძიებო უწყება განზრახ მკვლელობას ედავება, ხოლო ჯაბა ჯანგირაშვილს იარაღის დაუდევრად შენახვას.

## ტყიბულის მაღაროში დაშავებული ვიტალი ტურძილაძე გარდაიცვალა

მამაკაცი, რომელიც ტყიბულში კარიერის ჩამონგრევის შედეგად დაშავდა, გარდაიცვალა. ვიტალი ტურძილაძე ქუთაისის რეფერალურ ჰოსპიტალში, რეანიმაციულ განყოფილებაში იყო მოთავსებული. მას გულ-მკერდის და ფილტვების დაჟეჟილობა ჰქონდა.

ექიმების თქმით, მდგომარეობა კრიტიკული იყო და მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ტყიბულში ღია კარიერი ორი დღის წინ ჩამოინგრა. მიწის მასაში ორი ადამიანი მოყვა. ერთი მაშველებმა გარდაცვლილი იპოვეს, მეორე კი მძიმე დაზიანებებით კლინიკაში მოათავსეს. მომხდარზე გამოძიება 240-ე მუხლით დაიწყო.

## ბათუმში 2 წლის ბავშვი მე-7 სართულიდან გადავარდა

უბედური შემთხვევა მოხდა ბათუმში. აჭარა ნიუსის ინფორმაციით, ორ წლამდე ასაკის ბავშვი კორპუსის მეშვიდე სართულიდან გადავარდა.

შემთხვევა გუდიაშვილის ქუჩაზე, განათლების სამინისტროს გვერდით მოხდა.

არასრულწლოვანი ადგილზე დაიღუპა. მომხდარის შესახებ 112-ში შეტყობინება არ შესულა.

## ორთაჭალაში სახლი დაიწვა

28 ნოემბერს თბილისში, ორთაჭალაში, საცხოვრებელი სახლი დაიწვა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სახანძრო-სამაშველო ჯგუფები.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

# მიხეილ სააკაშვილი: „ბევრი იტყვის, რომ სრულ ჭკუაზე არ ვარ“

### „დიდი შანსი იყო, რომ გზაში მოვეკალი“

— ალბათ, ძალიან ბევრი ადამიანი იტყვის, რომ საღ ჭკუაზე არ ვარ. რამ უნდა აიძულოს ადამიანი, ფუფუნება, პატივისცემა, თანამდებობა დადოს გვერდზე და გადაეშვას მორევში, საიდანაც თავის დაღწევის შანსი პრაქტიკულად ძალიან დაბალია.

ამის შესახებ გუშინ, 29 ნოემბერს, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.



როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, ის, ყველაფრის მიუხედავად, ჩამოვიდა საქართველოში, სადაც მისივე თქმით, ზუსტად იცოდა, რომ შეიძლებოდა გზაში ვინმეს მოეკლა ან ჩაესვათ დილეგში, საიდანაც „ცოცხლად გამოშვების შანსი მინიმალურია“.

— მინდა დავიწყო იმით, რატომ ვარ დღეს ამ დარბაზში, რატომ ვარ დღეს საქართველოში — თქვენ იცით, მე ვარ ევროპის ყველაზე დიდ ქვეყანაში, იმ საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე, რომელიც ყოველთვიურად იკრიბება, მაგრამ ორი თვეა არ შეკრებილა გასაგები მიზეზების გამო. საბჭოში შედიან უკრაინის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის სპიკერი, ყველა მინისტრი, გენერალური პროკურორი და დაკავებულია იმით, რომ ამზადებს უკრაინის პარლამენტისთვის რეფორმებს.

ჩემი მომზადებული რეფორმების მიხედვით რამდენიმე კანონი მიიღო ვერხოვნა რადამ. ეს არის კანონი, მაგალითად, მიწის საკუთრების შესახებ, რომელიც არ აწყენდა არც საქართველოს, რადგან ძალიან დიდი კორუფციაა. უკრაინაში მეკავა ძალიან მნიშვნელოვანი პოზიცია, უფრო მეტიც, „იფსოსის“ გამოკითხვით — ვის ნახვას ისურვებდით უკრაინის პრემიერ-მინისტრად — პირველ ადგილზე ვარ. მეტიც, მინიმუმ ორჯერ მაქვს უკრაინის პრემიერმინისტრობაზე უარი ნათქვამი პრეზიდენტ პოროშენკოს დროს.

რაც შეეხება მატერიალურ მხარეს, არასდროს ვყოფილვარ ასე კარგად, როგორც ვიყავი უკრაინაში. სახლიც მქონდა, კარიც მაქვს, მაღალი ხელფასიც, პატივისცემაც. მთელ მსოფლიოში ვკითხულობ ლექციებს — მექსიკაში წავუკითხე ამას წინათ ლექცია 600 მილიონერს და მილიარდერს საგადასახადო კოდექსზე. მე ეს ყველაფერი გვერდით გავწიე, უარი ვთქვი დროებით და ჩამოვედი საქართველოში, სადაც ზუსტად ვიცოდი, რომ შეიძლებოდა გზაში მოვეკალი, ან ჩამოსვლისას მოვეკალი, როგორც ეს უქნეს ზვიად გამსახურდიას, ან დილეგში ჩავესვი, საიდანაც ჩემი ცოცხლად გამოშვების შანსი, როგორც ყველა დავრწმუნდით, არის მინიმალური.

ალბათ, ძალიან ბევრი ადამიანი ამ ყველაფერზე იტყვის, რომ საღ ჭკუაზე არ ვარ. რამ უნდა აიძულოს ადამიანი, რომ ყველა ზემოთ ხსენებული ფუფუნება, პატივისცემა, თანამდებობა დადოს გვერდზე და გადაეშვას მორევში, საიდანაც თავის დაღწევის შანსი პრაქტიკულად ძალიან დაბალია, — განაცხადა სააკაშვილმა.

## დიმიტრი საძაგლიშვილი: „პროკურორები ხელის შემშლელის როლში იყვნენ“

— პროცესი ნამდვილად იყო ისტორიული, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. ამ ისტორიულ პროცესში საკმაოდ მკაფიოდ არის ზღვარი გავლებული და ძალიან მარტივია სწორი და არასწორი მხარის გარჩევა.

ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთმა ადვოკატმა, დიმიტრი საძაგლიშვილმა, სასამართლოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

— მნიშვნელოვანი იყო ერთადერთი რამ, რომ მიხეილ სააკაშვილს ჰქონოდა შესაძლებლობა ქართველი ხალხისთვის მიემართა. ცხადია, არ აღვიქვამთ სასამართლოს, როგორც მიუკერძოებელ ორგანოს, რომელმაც, შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღოს.





შესაბამისად, არ გვაქვს ილუზია, რომ სასამართლო სხდომებზე ჩვენი პოზიციისა და არგუმენტების შედეგად გადაწყვეტილების მიღება მოხდება. ბუნებრივია, ეს არის ფარსი იმ თვალსაზრისით, რომ მხარეები წინასწარ ვთვალთმაქცობთ, თითქოს და რეალურ პროცესში ვმონაწილეობთ. ყველას თავისი როლი გააჩნია ამ პროცესებში. მაგალითად, დღეს, პროკურორები ხელის შემშლელის როლში იყვნენ წარმოდგენილი. მათი ძირითადი დანიშნულება იყო, რომ შესაბამისი მესიჯის მიღების შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილის სიტყვა შეეწყვიტათ. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ასე მოგვიწევს გაგრძელება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რომ მიხეილ სააკაშვილს მიეცა საშუალება მიემართა ქართველი ხალხისთვის და წარმდგარიყო ისტორიული სიტყვით, — განაცხადა საძაგლიშვილმა.

მან ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილს კვლავ არ ეძლევა სატელეფონო ზარების განხორციელების საშუალება.

— ხომ არ შეიძლება არსებობდეს ერთი ადამიანი მაინც, ვინც დაუშვებს, რომ სააკაშვილმა შეიძლება ციხიდან ან საავადმყოფოდან ვინმეს დაურეკოს და ზეგავლენა მოახდინოს და ამის შესაძლებლობა მას, თურმე, აქამდე, საქართველოში ჩამოსვლამდე, არ ჰქონია.

ჩვენი საჩივარი სასამართლომ საერთოდ არ განიხილა და თქვა, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ამ ტიპის საკითხების განხილვა, რაც არის საქართველოს კანონმდებლობის არასწორი და არაკონსტიტუციური განმარტება, რადგან ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოს კონტროლს, მით უმეტეს, იმ სასამართლოს კონტროლს, რომელიც იხილავს საქმეს და აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, მართლა არსებობს თუ არა მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის რისკები, — აღნიშნა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

## პროკურორი წიკლაური: „ბრალდებულმა სააკაშვილმა ტელეიმედის დარბევაზე არაფერი თქვა“





მიხეილ სააკაშვილის საქმის პროკურორის, ჯარჯი წიკლაურის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის სასამართლოზე სიტყვით გამოსვლა საქმეს არ ეხებოდა.

როგორც პროკურორმა აღნიშნა, ვერ მოისმინეს ვერც ერთი განმარტება წარდგენილ ბრალდებაზე.

— მიხეილ სააკაშვილმა ბევრი ისაუბრა სხვადასხვა ქვეყანაზე: უკრაინაზე, ვენესუელაზე, ასევე იმ საკითხებზე, რომლებიც არ ეხებოდა საქმეს, მაგრამ ვერც ერთი განცხადება ვერ მოვისმინეთ ტელეიმედის დარბევაზე, მაგალითად, რაც არის მთავარი ბრალდება დღეს განსახილველი საქმის. ვერც ერთი განმარტება ჩვენ, ბრალდების მხარემ, ვერ მოვისმინეთ თუნდაც იმ ძალადობაზე ჟურნალისტების მიმართ, რომელიც არის ძირითადი ეპიზოდი ბრალდების.

ასევე, ჩვენ ვერც ერთი განმარტება ვერ მოვისმინეთ, რატომ წაართვეს პატარკაციშვილის ოჯახს ქონებები.

ჩვენ ამაზე გვაქვს მტკიცებულებები წარმოდგენილი, ე.წ. მემორანდუმი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით გაფორმდა ამ ოჯახის მიმართ საიდუმლო პირობებში — ეს არის უტყუარი დასტური, რომ ამ ოჯახს ჩამოართვეს ქონებები. ამაზე მოვისმინეთ ერთი სიტყვა ბრალდებულის მხრიდან? ეს შეკითხვები არსებობს, ეს მტკიცებულებები არის წარმოდგენილი და იგი პასუხებს ვერ სცემს.

თქვენ ალბათ მოისმინეთ, პატივცემულო სასამართლო, რომ მიხეილ სააკაშვილმა, ბრალდებულმა, მანიაკალური უწოდა 7 ნოემბრის საქმის გამოძიებას. როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ არავინ დაზარალებულა? ეს მტკიცებულებები გვაქვს წარმოდგენილი და ნაცვლად იმისა, რომ ამ მტკიცებულებებზე ვისაუბროთ და დემონსტრირება მოვახდინოთ, ვისმენთ პოლიტიკურ პოზიციებს და ერთსაათიანი გამოსვლა ვიხილეთ მხოლოდ სანახაობა პოლიტიკური დღის წესრიგის მიხედვით, — განაცხადა პროკურორმა.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს უახლეს ისტორიაში ორ უმძიმეს და უსასტიკეს დანაშაულზე გამოძიებას მანიაკალური და „პიარული“ უწოდა.

— ჩვენ როცა ასეთ მძიმე საქმეებზე გვიწევს საუბარი, წარმოვადგენდეთ სახელმწიფო ბრალდებას, გვაქვს მოლოდინი, რომ მინიმუმ სინანულს მაინც დავინახავთ ბრალდებულის მხრიდან. ამის სანაცვლოდ ვნახეთ პროცესზე, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში ორ უმძიმეს და უსასტიკეს დანაშაულზე გამოძიებას ბრალდებულმა სააკაშვილმა მანიაკალური და „პიარული“ უწოდა.

ბრალდებულმა მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ გირგვლიანის საქმე არ არსებობს და პიარულად დავარქვით. ამ უსასტიკესი მკვლელობის საქმეზე მსჯავრდებულების შეწყალებას ასე აფასებს ამ საქმის ბრალდებული სააკაშვილი, — განაცხადა პროკურორმა.

## პოლიციამ თბილისის სასამართლოსთან სპეციალური საშუალებები გამოიყენა დაკავებულია 15 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის პროცესის პარალელურად სასამართლოსთან მიმდინარე აქცია „გასცდა მშვიდობიანი შეკრების კანონით დასაშვებ ნორმებს“. უწყების განცხადებით, პოლიციამ სპეციალური საშუალებები გამოიყენა.

უწყების ცნობით, აქციაზე 15 პირი პოლიციელის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდებით დააკავეს.

„თბილისის საქალაქო სასამართლოსთან, უკრაინის მოქალაქის, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის მონაწილეობით მიმდინარე სასამართლო პროცესის პარალელურად გამართული საპროტესტო აქცია გასცდა მშვიდობიანი შეკრების კანონით დასაშვებ ნორმებს. აქციის იმ მონაწილეების მიმართ, რომლებიც არ დაემორჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნებს და მათ ძალადობრივი მეთოდებით წინააღმდეგობა გაუწიეს, სამართალდამცველებმა, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, პროპორციული ძალა და სპეციალური საშუალებები გამოიყენეს.

სასამართლოს შენობის და ეზოს მიმდებარე ტერიტორიიდან შეკრებილებმა მოგვიანებით გადაინაცვლეს ალმაშენებლის ხეივანში და გზის სავალი ნაწილი უკანონოდ გადაკეტეს.





სამართალდამცველთა არაერთი მოწოდების მიუხედავად, გაეხსნათ გზის სავალი ნაწილი, აქციის მონაწილეები და ორგანიზატორები არ დაემორჩილნენ პოლიციის მითითებებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა 15 პირი პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის სამართალდარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების შესაბამისად დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლოსთან მიმდინარე აქციასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები მობილიზებული რჩებიან და საზოგადოებრივ წესრიგს დაიცავენ. მართლწესრიგის დასაცავად იმყოფება შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა შესაბამისი დანაყოფი, ასევე, ტერიტორიაზე რჩება შესაბამისი საპოლიციო ტექნიკაც.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უწყება, მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, პოლიტიკურ ლიდერებს, აქციის ორგანიზატორებს და მონაწილეებს, დაიცვან მართლწესრიგი და დაემორჩილონ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს. აქციის მიმდინარეობისას, სამართალდარღვევის ნებისმიერი ფაქტი პოლიციის მიერ, კანონის ფარგლებში, დაუყოვნებლივ იქნება აღკვეთილი“, — წერია უწყების განცხადებაში.

2021, 30 ნოემბერი, №226

## შვედეთის პრემიერად კვლავ მაგდალენა ანდერსონი დაამტკიცეს



შვედეთის პარლამენტმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრად სოციალ-დემოკრატი მაგდალენა ანდერსონი აირჩია.

ანდერსონი ჩამოაყალიბებს და უხელმძღვანელებს უმცირესობის მთავრობას, რომელიც მხოლოდ მისი პარტიისგან შედგება.

სოციალ-დემოკრატებს, რომლებსაც 349-ადგილიან პარლამენტში მხოლოდ 100 მანდატი აქვთ, პოლიტიკის განსახორციელებლად რამდენიმე სხვა პარტიის მხარდაჭერის იმედზე ყოფნა მოუწევთ.

შეგახსენებთ, შვედეთის პარლამენტმა პრემიერ-მინისტრად მაგდალენა ანდერსონის კანდიდატურა გასულ კვირაშიც დაამტკიცა, თუმცა მან თანამდებობა რამდენიმე საათში დატოვა. ანდერსონმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მისმა კოალიციურმა პარტნიორმა, „მწვანეთა პარტიამ", მთავრობა დატოვა იმის გამო, რომ პარლამენტმა კოალიციის მიერ წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს მხარი არ დაუჭირა.

## შვეიცარიამ კოვიდსაშვების გაუქმებას მხარი არ დაუჭირა




შვეიცარიაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების თანახმად, ქვეყნის მოსახლეობამ კოვიდსაშვების გაუქმებას მხარი არ დაუჭირა.

კერძოდ, მოსახლეობის 62%-მა დადებითი პასუხი გასცა შეკითხვას იმის შესახებ, უნდა დარჩეს თუ არა სექტემბერში შემოღებული კოვიდსაშვები ძალაში.

კვირას ჩატარებული რეფერენდუმი ქვეყნის კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის მცდელობის მიზნით ჩატარდა, რომელიც საზოგადოებრივ ადგილებში, მათ შორის ბარებსა და რესტორნებში, შესვლის უფლებას მხოლოდ კოვიდმოწმობის მფლობელი მოქალაქეების, ანუ სრულად ვაქცინირებულ, კოვიდ 19-ისგან განკურნებულ ან კორონავირუსზე ჩატარებული ტესტის უარყოფითი პასუხის მქონე პირების დაშვებას ითვალისწინებს.

რეფერენდუმი კოვიდმოწმობების მოწინააღმდეგეების მიერ წარდგენილი პეტიციის საფუძველზე ჩატარდა, რომელსაც ხელი 187.000 მოქალაქემ მოაწერა.

## პერუში მიწისძვრის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა

### 220 სახლი დაზიანდა



პერუში 7,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრის შედეგად დაზიანდა სახლები, არიან დაშავებულებიც.

ქვეყნის სამოქალაქო თავდაცვის ეროვნული ინსტიტუტის განცხადებაში ნათქვამია, რომ დაზიანდა 220 სახლი. მათგან 81 საცხოვრებლად გამოუსადეგარი, 75 კი სრულად განადგურებულია. დაზიანებულ ობიექტებს შორის იყო 7 რელიგიური თაყვანისცემისთვის განკუთვნილი ადგილი და 2 სავაჭრო ცენტრი.

სამოქალაქო თავდაცვის ინსტიტუტის თქმით, დაშავდა 4 ადამიანი.

მიწისძვრა კვირას, პერუს ჩრდილოეთით, ქალაქ ბარანკა-დე-უპიადან 40 კილომეტრში მოხდა.

ბიძგები იგრძნობოდა ეკვადორშიც.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## თხების სამწყემსად წასული ქალი ლეოპარდმა იმსხვერპლა



ინდოეთის გუჯარათის შტატის ქალაქ ჩხოტა უდაიპურის მახლობლად თხების სამწყემსად წასულმა 70 წლის ქალმა სიცოცხლე ლეოპარდის ბრჭყალებში დაასრულა.

სოფელ ლაგამის მკვიდრი კუხიბენ დხანაკი საღამო ხანს ტყეში წავიდა თხების სამწყემსად. როდესაც ხანდაზმული ქალი სახლში აღარ დაბრუნდა, მისმა ნათესავებმა და თანასოფლელებმა ტყეს მიაშურეს მის მოსაძებნად.

დხანაკის ცხედარს დაახლოებით შუა ღამისას მიაგნეს. ქალს შუბლზე, მუცელსა და მარცხენა ფეხზე დაზიანებები ჰქონდა მიყენებული. ადგილობრივები მიხვდნენ, რომ ქალი ლეოპარდმა დაგლიჯა და მომხდარის თაობაზე ინდოეთის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს აცნობეს.

დეპარტამენტის თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე ღამით მივიდნენ, ქალის ცხედარი ექსპერტიზაზე წამოიღეს, ხოლო მეორე დილით ადგილზე ორი გალია დადგეს მტაცებელი ცხოველის დასაჭერად.

## შუა ქორწილში სიძე ალიმენტის გადაუხდელობის გამო დააპატიმრეს



ეკვადორში პოლიციამ შეწყვიტა ქორწილი და დააპატიმრა სიძე ყოფილი მეუღლისთვის ალიმენტის გადაუხდელობის გამო.

მამაკაცი, რომლის ვინაობა არ სახელდება, აპირებდა იქ მყოფი სტუმრების თვალწინ ბეჭდები გაეცვალა პატარძლისთვის, მაგრამ სანამ ის მომავალი მეუღლისთვის მოასწრებდა თქმას „დიახ", დარბაზში პოლიცია შეიჭრა.

პოლიციის თანამშრომლებმა მამაკაცი დააკავეს და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, მიუხედავად პატარძლის ვედრებისა, რომ მისი დაპატიმრება ქორწილის ბოლოსთვის გადაედოთ. განაწყენებული ქალი პოლიციის მანქანას მისდევდა და ყვიროდა.

გაირკვა, რომ მამაკაცი რამდენიმე თვის განმავლობაში არ უხდიდა ალიმენტს თავის ყოფილ ცოლს, რომელთანაც ქორწინებაში ორი ბავშვი შეეძინა. სიძემ საკუთარი დანაშაული აღიარა. ინფორმაცია იმის თაობაზე, გაათავისუფლეს თუ არა პატიმრობიდან მამაკაცი და მოახერხა თუ არა საბოლოოდ დაქორწინება, არ ვრცელდება.

## იმის შიშით, რომ ვისკის გემოს ველარ იგრძნობდა, მამაკაცი ორი წლით სახლში გამოიკეტა



შოტლანდიის ქალაქ ედინბურგის მკვიდრმა ბლერ ბოუმანმა, რომელიც ვისკის მცოდნედ ითვლება, თვითიზოლაციიდან გამოსვლაზე უარი თქვა და ორი წლით სახლში ჩაიკეტა, რათა კოვიდ-19 არ შეეყაროს და სასმელის გემოს შეგრძნება არ დაკარგოს.

31 წლის ბოუმანმა ჯერ კიდევ 2020 წლის თებერვალში, კარანტინის ოფიციალურად შემოღებამდე, გადაწყვიტა თვითიზოლაციაში გადასულიყო და პარტნიორთან ერთად სახლში ჩაიკეტა. მას შემდეგ, რაც შეზღუდვები სახელმწიფო დონეზე მოიხსნა, შოტლანდიელმა გადაწყვიტა, პერსონალურ კარანტინში დარჩენილიყო და დღემდე სახლიდან მხოლოდ სასეირნოდ და პროდუქტების შესაძენად გამოდის.

როგორც ბოუმანმა განმარტა, მისი გადაწყვეტილება ყნოსვის შეგრძნების და ასევე, ვისკისა და ყავის გემოს დაკარგვის შიშითაა მოტივირებული. პანდემიის დაწყებამდე ის მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა, მათ შორის მალაიზიაში, საბერძნეთში, ნორვეგიასა და თურქეთში და ესწრებოდა საქმიან სადილებს ვისკის მცოდნის და გამყიდველის სტატუსით. წარმატებული ვაჭრობისთვის მამაკაცისთვის აუცილებელია სასმელის დეგუსტაცია, მის ჯიშებში გასარკვევად.

– აზრი არ აქვს ვისკის დალევას გემოს შეგრძნების დაკარგვის შემდეგ, ვინაიდან ხალხი მეუბნებოდა, რომ მისი მხოლოდ ტესტურის და არა გემოს შეგრძნება შეუძლიათ, – განმარტა მან.

ბოუმანმა აღიარა, რომ ასეთი ცხოვრების წესს შეეჩვია, მოსწონს და შეუძლია სახლიდან გააგრძელოს მუშაობა.

## ქალმა თვითმფრინავში კატას ძუძუ მოაწოვა



ამერიკული ავიაკომპანია დელტა ეირლეინის რეისის ერთ-ერთმა მგზავრმა თვითმფრინავში თავისი კატა ძუძუთი დაანაყრა.

ქალი თავის შინაურ ცხოველთან ერთად ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში მიფრინავდა. ფრენის დროს, მან კატა ცხოველის გადასაყვანი ჩანთიდან ამოიყვანა, ძუძუთი დაანაყრა, მაგრამ მიუხედავად თვითმფრინავის ეკიპაჟის თხოვნისა, უკანვე აღარ დააბრუნა.

შედეგად თვითმფრინავის პილოტმა აეროპორტს გადასცა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქალი უარს ამბობდა კატა გადასაყვან ჩანთაში დაებრუნებინა. თვითმფრინავის დაშვების შემდეგ ქალს უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომლები გაესაუბრნენ და გაფრთხილება მისცეს.

## ანტიკვარული იარაღის სერიულ მძარცველს ერთი დღით პატიმრობა მიესაჯა

აშშ-ში ანტიკვარიატის 78 წლის სერიულ ქურდს ერთი დღით პატიმრობა და ჯარიმა მიესაჯა აშშ-ის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დროინდელი უიშვიათესი შაშხანის და ათეულობით სხვა ნივთის ქურდობისთვის.



თომას გევინმა, რომელიც პენსილვანიის შტატის ქალაქ პოტსვილში ცხოვრობს, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ფლობაში თავი დამნაშავედ ცნო, რომელიც მან მუზეუმიდან მოიპარა. შაშხანა 1775 წელს კრიტოფერ ოეტერმა დაამზადა და სპეციალისტების შეფასებით 175 ათას დოლარზე მეტი ღირს. აღნიშნული ოსტატის მიერ დამზადებული სულ ორი შაშხანაა შემორჩენილი.

გევინის თქმით, მან ოეტერის შაშხანა 1971 წელს პენსილვანიის შტატის ქალაქ ფილადელფიის მუზეუმიდან მოიპარა. გარდა ამისა, ხანდაზმულმა მამაკაცმა ანტიკური იარაღების ათეულობით სხვა ქურდობის ფაქტიც აღიარა, რომლებიც მან 1960-70-იან წლებში ჩაიდინა. მან აღნიშნა, რომ ამ დანაშაულს იმისთვის ჩადიოდა, რომ ძველი ნივთების კოლექციონერობა მოსწონდა.

მოსამართლემ აღნიშნა, რომ მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა, ჩადენილი დანაშაულების ხანგრძლივობის ვადა დიდი ხანია გასულია. ამიტომ მამაკაცს ერთი დღით პატიმრობა და 50 ათასი დოლარის ჯარიმის გადახდა მიესაჯა.

## პიცერიაში შეკვეთის ლოდინით თავგაბეზრებული კლიენტი თანამშრომლებს კალაშნიკოვით დაემუქრა

ამერიკის ტენესის შტატში კლიენტი პოლიციამ იმის გამო დააკავა, რომ შეკვეთის ლოდინით დაღლილმა დაწესებულების თანამშრომლებს აჩქარება მოსთხოვა და მათ ავტომატი აკ-47 მიუშვირა.



63 წლის ჩარლზ დუგლას დოტი-უმცროსმა ადგილობრივ დაწესებულებაში პიცა „პეპერონი" შეუკვეთა. მამაკაცი დაინტერესდა, თუ რა დრო დასჭირდებოდა შეკვეთის მომზადებას. როდესაც მას უპასუხეს, რომ დაახლოებით ათი წუთი იყო ამისთვის საჭირო, გაეცინა, პურის ჩხირები მოითხოვა და შემდეგ პიცერიიდან გამოვიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მამაკაცი კალაშნიკოვის ავტომატით შეიარაღებული დაბრუნდა. დაწესებულების ყოფილი თანამშრომლის, კიმბერლი მურელის თქმით, რომელიც იმ საღამოს მუშაობდა, დოტი-უმცროსმა მას იარაღი მიუშვირა, ემუქრებოდა, რომ ესროდა და ეკითხებოდა: „სადაა ჩემი პიცა? ჩემი პიცა მინდა!"

– ნამდვილად შევშინდი და ვერ ვიჯერებდი, რომ ეს ყოველივე ექვსდოლარიანი პიცის გამო ხდებოდა, – განაცხადა მურელიმ. მან ასევე დაამატა, რომ დაწესებულების სხვა მომხმარებელმა მის დასამშვიდებლად საკუთარი პიცის შეთავაზება სცადა, თუმცა ამან კონფლიქტი ვერ მოაგვარა.

დაწესებულების ერთ-ერთმა თანამშრომელმა სამაშველო სამსახურში დარეკვა მოახერხა. როდესაც პოლიცია შემთხვევის ადგილზე მივიდა, დოტი-უმცროსი პიცერიიდან უკვე წასული იყო. თუმცა ის მალე დააკავეს დამამძიმებელ გარემოებებში თავდასხმის ოთხი შემთხვევის და ერთი დამამძიმებელ გარემოებაში გატაცების ბრალდება წაუყენეს.

## ახალგაზრდის მკვლელი დათვი ბრბომ ჩაქოლა



ინდოეთის დასავლეთ ბენგალიის შტატში გაცოფებულმა ბრბომ მოკლა დათვი, რომელმაც მცირე ხნით ადრე 18 წლის ახალგაზრდა დაგლიჯა.

როგორც ჯალპაიგურის ოლქის სატყეო მეურნეობის თანამშრომელმა მასმედიის წარმომადგენლებს განუცხადა, ახალგაზრდა მამაკაცი დინეშ კხალხო მშობლიურ სოფელ მეტელიში ქალაქ ნაგრაკატიდან ავადმყოფი მამის მოსანახულებლად ჩავიდა.

ნათესავებთან შეხვედრის შემდეგ ის ტურისტებს შორის პოპულარულ ჩაის პლანტაციაში გაემართა სასეირნოდ, რომელიც დასახლების მახლობლად მდებარეობს. მისი დასახიჩრებული ცხედარი გარკვეული დროის შემდეგ ადგილობრივებმა აღმოაჩინეს. მათ პოლიციისა და სატყეო მეურნეობის თანამშრომლები გამოიძახეს, თუმცა მალევე შენიშნეს მოზრდილი ჰიმალაური დათვი, რომელიც შემოგარენში დაძრწოდა. ადგილობრივები მტაცებელს თავს დაესხნენ და ჩაქოლეს. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა და სატყეო მეურნეობის თანამშრომლებმა მათი შეჩერება ვერ შეძლეს.

სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, რეგიონში ადამიანებზე ლეოპარდებისა და სპილოების თავდასხმებს ადგილი ჰქონია, თუმცა აქამდე დათვის თავდასხმის ფაქტი არ დაფიქსირებულა. მისი აზრით, მტაცებელი ახლომდებარე მთებიდან ჩამოვიდა და ის, რომ ახლა უკვე დათვებმაც დაიწყეს ადამიანებზე თავდასხმა, ჩრდილოეთ ბენგალიაში ტყეების მასობრივი გაჩეხის ბრალია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

● საახალწლო აქცია – სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# ბათუმის დინამო საქართველოს ჩემპიონი გახდა

საქართველოს ეროვნული ლიგა ერთი ტურით ადრე დასრულდა. არაფერი სკანდალური არ მომხდარა – უბრალოდ, გაირკვა ყველაფერი და ბოლო ტურმა ყველანაირი ინტერესი დაკარგა.

**სამგურალი-დინამო (ბთ) 0:3**

**წყალტუბო. 26 მაისი**

**0:1 ჯილაური (49პ), 0:2 მარგველაშვილი (84), 0:3 აზაცკი (88)**

**სამგურალი:** მეშველიანი, კიკაბიძე, პატარკაციშვილი, ბურჯანაძე, კალანდარიშვილი, ფონიავა (ბუხაიძე 73), გილმორი, დოლიძე (ა.ვერულიძე 63), ჩიხლაძე (ახვლედიანი 63), დ.კირკიტაძე, კუხიანიძე (ამინუ 46)

**დინამო:** ალავიძე, მამუჩაშვილი, მარგველაშვილი, აზაცკი, ჩაბრაძე, ტეიდი (გაგოშიძე 86), მანჯგალაძე, ვ.გაფრინდაშვილი (ფლამარიონი 73), ზარია (აზაროვი 73), ჯილაური (გროცურეკი 58), ნიქაბაძე (ზურაბიანი 46)

ისტორიაში პირველად, ბათუმის დინამო ჩემპიონია. ზღვისპირელებმა ეს ამბავი ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე იცოდნენ. იცოდნენ წყალტუბოელებმაც, რომლებმაც ჩემპიონის სტატუსით ჩასულ გუნდს საჩემპიონო დერეფანი მოუწყვეს.

უშუალოდ მატჩს სატურნირო მოტივაცია აღარ ჰქონდა. შედეგად მოედანზე რამდენიმე სიახლე ვიხილეთ, რაც თამაშს დაეტყო.

პირველი ტაიმი ნელ ტემპში წარიმართა. საგოლე მომენტი სულ ერთხელ შეიქმნა, როდესაც გიორგი ნიქაბაძე ბურთი ძელს გაარტყა.

მე-2 ტაიმში 3 გოლი გავიდა: ანგარიში ჯაბა ჯილაურმა გახსნა, რომელმაც 11 მეტრიდან ზუსტად დაჰკრა; 84-ე წუთზე, კუთხურის შემდეგ, გაგი მარგველაშვილმა გაიტანა; საბოლოო ანგარიში კი, ოლეკსანდრ აზაცკიმ დააფიქსირა – 0:3.

**სამტრედია-დინამო (თბ) 0:0**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

**სამტრედია:** ლომიძე, ასათიანი, გადრანი, მჭედლიშვილი, ახალაძე, ცეცხლაძე, პავიშიჩი, იოსელიანი (ენდელაძე 67), კვირკვია, არაბიძე (გიგიაშვილი 93), ლომთაძე (რობაქიძე 79)

**დინამო:** პრიეტო, კალანდაძე, პაპავა, ხვადაგიანი, ქარდავა (მექვაბიშვილი 46), მორჩილაძე (ხარაბაძე 75), სპორქსლედე (კუცია 75), მოისწრაფიშვილი (რადინი 46), ოსეი (ქავთარაძე 83), გაბედავა, მარუშიჩი

დინამოს საჩემპიონო შანსი რომ დაეტოვებინა, აუცილებლად უნდა მოეგო. თუმცა, ეს ამოცანა ვერ გადაჭრა, უკვე ეროვნული ლიგიდან გავარდნილ გუნდს ვერ მოუგო და ბათუმის დინამოს საჩუქარი გაუკეთა.

მატჩი არაფრით გამორჩეული არ გამოდგა. აქა-იქ შექმნილი მომენტები და სულ ეს იყო.

**დილა-თელავი 1:3**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**0:1 ნემსაძე (34 სჯ), 1:1 შერგელაშვილი (37 სჯ), 1:2 ნონდი (72 სჯ), 1:3 აშორტია (87)**

**დილა:** გუგეშაშვილი, ნემსაძე, ჭიჭინაძე, მაისაშვილი, სილვა, ნონდი, გაგნიძე, მადინგა (თავყელიშვილი 64), ღუდუშაური (ბულრიძე 64), თ.კაპანაძე, კამარა

**თელავი:** სანიკიძე, ძოწენიძე, თოლორდავა, ზ.თევზაძე, ც.კაპანაძე



(ფაცაცია 81), მ.ბაშელეიშვილი, ჯანელიძე (ჯიქია 81), შერგელაშვილი, მაგრაქველიძე (შეყილაძე 73), ჟუნიორი (აშორტია 73), რუხაძე (ჩუკვურა 51)

თელავს მოგება აუცილებლად სჭირდებოდა. სხვა შემთხვევაში ფლეი აუტში მოუწევდა თამაში. მოგების შემთხვევაში კი, დავიდარაბა საერთოდ თავიდან აირიდა. თუმცა, ამაში სხვა გუნდებიც წაეხმარნენ.

გორში გამართული მატჩი კი, კურიოზული გამოდგა – 3 ავტოგოლი გავიდა. 2 მასპინძლებმა გაიტანეს საკუთარ კარში, ერთიც – კახელებმა.

დილა მესამე ადგილზე დარჩა, თელავი – უმაღლეს ლიგაში.

**ლოკომოტივი-ტორპედო 1:1**

**საგურამო. ლოკო-საგურამო**

**1:0 იმრანი (68), 1:1 ზიდანი (90)**

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, გაბაძე, ვადი (ანდრონიკაშვილი 46), სანდოხაძე, ქველაძე, სამურკასოვი (დარცმელია 60), შონია, კახაბრიშვილი (მუკბანიანი 60), დიასამიძე (კეკელიძე 71), იმრანი, სიხარულიძე (გავაშელიშვილი 71)

**ტორპედო:** შოვნაძე, ინკუმი (ზიდანი 82), აბულაძე, ნადარია, ჩალაძე,, ცინცაძე, კარაგუნისი, წოწონავა (მახარობლიძე 61), რეკიში (მჭედლიძე 61), ბუკასი (ო.კვერნაძე 69), თ.ახვლედიანი (ვ.ტაბატაძე 69)

აუცილებლად მოგება სჭირდებოდა ტორპედოსაც, რათა ბოლო ტურში შანსი დაეტოვებინა. თუმცა, რიონისპირელებმა ეს ვერ მოახერხეს. მეტიც, მატჩის ბოლომდე აგებდნენ და 90-ე წუთზე ფადი ზიდანის გოლმა გუნდს მხოლოდ ქულა მოუტანა. ეს კი საკმარისი არ აღმოჩნდა და ტორპედო ფლეი აუტში მარტვილის მერანს შეხვდება.

**შუქურა-საბურთალო 1:2**

**ქობულეთი. ჩელე არენა**

**1:0 სარდალიშვილი (72), 1:1 ო.მამაგეიშვილი (83) 1:2 წულუკიძე (86)**

**შუქურა:** თებიძე, ფარტენაძე, ჭანტურია, რეხვიაშვილი (ჯინჭარაძე 71), სპიჩკა (ინგოროყვა 46), კაკაშვილი, ვარშანიძე (ბ.ვერულიძე 82), გ.გაფრინდაშვილი, ძალამიძე (სარდალიშვილი 65), კომახიძე (მუსელიანი 46), ჯერალდო

**საბურთალო:** მეგრელიშვილი, მალი (ჭანტურიშვილი 46), ჩაჩუა, ო.მამაგეიშვილი, ხარაიშვილი, მამაცაშვილი, ასკურავა (კაკუბავა 90), ძებნიაური (წულუკიძე 46), გ.მამაგეიშვილი (გულიაშვილი 79), გ.კვერნაძე, ერისთავი (ზეფერინგსი 65)

არაფრისმომცემ მატჩში საბურთალომ მოიგო, რომელიც ახალგაზრდული შემადგენლობით გავიდა ჩელე არენაზე. თუმცა, ლევან კორღალიძის შეგირდებმა საკუთარი საქმე გააკეთეს, ბოლომდე იბრძოლეს და დამსახურებულად მოიგეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 35 | 21 | 11 | 3 | 71-25 | 74 |
| 2.დინამო (თბ) | 35 | 20 | 7 | 8 | 56-26 | 67 |
| 3.დილა | 35 | 17 | 9 | 9 | 46-33 | 60 |
| 4.საბურთალო | 35 | 14 | 12 | 9 | 47-39 | 54 |
| 5.ლოკომოტივი | 35 | 15 | 8 | 12 | 55-56 | 53 |
| 6.თელავი | 35 | 11 | 8 | 16 | 33-52 | 41 |
| 7.სამგურალი | 35 | 9 | 14 | 12 | 33-42 | 41 |
| 8.ტორპედო | 35 | 8 | 13 | 14 | 34-43 | 37 |
| 9.შუქურა | 35 | 5 | 12 | 18 | 27-47 | 27 |
| 10.სამტრედია | 35 | 5 | 6 | 24 | 32-71 | 21 |

## შედეგები

### 28 ნოემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრენტფორდი-ევერტონი ............. 1:0
ლესტერი-უოტფორდი ................. 4:2
სიტი-ვესტ ჰემი ............................. 2:1
ჩელსი-მანჩესტერი ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 13 | 9 | 3 | 1 | 31-5 | 30 |
| 2.სიტი | 13 | 9 | 2 | 2 | 27-7 | 29 |
| 3.ლივერპული | 13 | 8 | 4 | 1 | 39-11 | 28 |
| 4.ვესტ ჰემი | 13 | 7 | 2 | 4 | 24-16 | 23 |
| 5.არსენალი | 13 | 7 | 2 | 4 | 15-17 | 23 |
| 6.ვულვზი | 13 | 6 | 2 | 5 | 12-12 | 20 |
| 7.ტოტენჰემი | 12 | 6 | 1 | 5 | 11-17 | 19 |
| 8.მანჩესტერი | 13 | 5 | 3 | 5 | 21-22 | 18 |
| 9.ბრაიტონი | 13 | 4 | 6 | 3 | 12-14 | 18 |
| 10.ლესტერი | 13 | 5 | 3 | 5 | 20-23 | 18 |
| 11.კრ.პალასი | 13 | 3 | 7 | 3 | 19-19 | 16 |
| 12.ბრენტფორდი | 13 | 4 | 4 | 5 | 17-17 | 16 |
| 13.ასტონ ვილა | 13 | 5 | 1 | 7 | 18-21 | 16 |
| 14.ევერტონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16-20 | 15 |
| 15.საუთჰემპტონი | 13 | 3 | 5 | 5 | 11-18 | 14 |
| 16.უოტფორდი | 13 | 4 | 1 | 8 | 18-24 | 13 |
| 17.ლიდსი | 13 | 2 | 6 | 5 | 12-20 | 12 |
| 18.ბარნლი | 12 | 1 | 6 | 5 | 14-20 | 9 |
| 19.ნორვიჩი | 13 | 2 | 3 | 8 | 7-27 | 9 |
| 20.ნიუკასლი | 13 | 0 | 6 | 7 | 15-29 | 6 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

შეფილდი-ბრისტოლი .................... 2:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-უნიონი ........................ 2:1
ლაიფციგი-ლევერკუზენი ............. 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 13 | 10 | 1 | 2 | 42-13 | 31 |
| 2.დორტმუნდი | 13 | 10 | 0 | 3 | 33-19 | 30 |
| 3.ლევერკუზენი | 13 | 7 | 3 | 3 | 28-18 | 24 |
| 4.ფრაიბურგი | 13 | 6 | 4 | 3 | 19-13 | 22 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 13 | 6 | 2 | 5 | 27-20 | 20 |
| 6.უნიონი | 13 | 5 | 5 | 3 | 20-18 | 20 |
| 7.ვოლფსბურგი | 13 | 6 | 2 | 5 | 15-17 | 20 |
| 8.ლაიფციგი | 13 | 5 | 3 | 5 | 24-16 | 18 |
| 9.მაინცი | 13 | 5 | 3 | 5 | 17-14 | 18 |
| 10.კიოლნი | 13 | 4 | 6 | 3 | 22-22 | 18 |
| 11.გლადბახი | 13 | 5 | 3 | 5 | 18-18 | 18 |
| 12.აინტრახტი | 13 | 4 | 6 | 3 | 16-17 | 18 |
| 13.ბოხუმი | 13 | 5 | 1 | 7 | 12-20 | 16 |
| 14.ჰერტა | 13 | 4 | 2 | 7 | 13-27 | 14 |
| 15.შტუტგარტი | 13 | 3 | 4 | 6 | 18-23 | 13 |
| 16.აუგსბურგი | 13 | 3 | 4 | 6 | 12-22 | 13 |
| 17.არმინია | 13 | 1 | 6 | 6 | 9-19 | 9 |
| 18.ფიურტი | 13 | 0 | 1 | 12 | 11-39 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-ინგოლშტადი ................ 3:0
ნიურნბერგი-ზ.პაული .................. 2:3
პადერბორნი-ჰანზა ....................... 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბეტისი-ლევანტე ........................... 3:1
ესპანიოლი-სოსიედადი ................ 1:0
კადისი-ატლეტიკო ........................ 1:4
რეალი-სევილია ............................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 14 | 10 | 3 | 1 | 34-15 | 33 |
| 2.ატლეტიკო | 14 | 8 | 5 | 1 | 26-14 | 29 |
| 3.სოსიედადი | 15 | 8 | 5 | 2 | 19-11 | 29 |
| 4.სევილია | 14 | 8 | 4 | 2 | 24-11 | 28 |
| 5.ბეტისი | 15 | 8 | 3 | 4 | 25-18 | 27 |
| 6.რაიო | 15 | 7 | 3 | 5 | 23-16 | 24 |
| 7.ბარსელონა | 14 | 6 | 5 | 3 | 23-16 | 23 |
| 8.ბილბაო | 14 | 4 | 8 | 2 | 13-10 | 20 |
| 9.ესპანიოლი | 15 | 5 | 5 | 5 | 15-14 | 20 |
| 10.ვალენსია | 15 | 4 | 7 | 4 | 22-21 | 19 |
| 11.ოსასუნა | 14 | 5 | 4 | 5 | 14-18 | 19 |
| 12.ვილიარეალი | 14 | 3 | 7 | 4 | 16-16 | 16 |
| 13.სელტა | 15 | 4 | 4 | 7 | 16-19 | 16 |
| 14.მალიორკა | 15 | 3 | 7 | 5 | 14-22 | 16 |
| 15.ალავესი | 14 | 4 | 2 | 8 | 11-19 | 14 |
| 16.გრანადა | 14 | 2 | 6 | 6 | 14-22 | 12 |
| 17.კადისი | 15 | 2 | 6 | 7 | 13-27 | 12 |
| 18.ელჩე | 14 | 2 | 5 | 7 | 11-20 | 11 |
| 19.ხეტაფე | 15 | 2 | 4 | 9 | 10-19 | 10 |
| 20.ლევანტე | 15 | 0 | 7 | 8 | 13-28 | 7 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლეგანესი-ლას პალმასი ............... 4:1
ამორებიეტა-სარაგოსა ................ 1:1
იბიცა-პონფერადინა ...................... 0:1
ტენერიფე-სოსიედადი ............... ბ 2:0

**იტალია. სერია ა**

უდინეზე-ჯენოა ............................ 0:0
მილანი-სასუოლო ........................ 1:3
სპეცია-ბოლონია ........................... 0:1
რომა-ტორინო .............................. 1:0
ნაპოლი-ლაციო ............................ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 14 | 11 | 2 | 1 | 30-7 | 35 |
| 2.მილანი | 14 | 10 | 2 | 2 | 30-18 | 32 |
| 3.ინტერი | 14 | 9 | 4 | 1 | 34-15 | 31 |
| 4.ატალანტა | 14 | 8 | 4 | 2 | 28-17 | 28 |
| 5.რომა | 14 | 8 | 1 | 5 | 24-15 | 26 |
| 6.იუვენტუსი | 14 | 6 | 3 | 5 | 18-16 | 21 |
| 7.ფიორენტინა | 14 | 7 | 0 | 7 | 21-19 | 21 |
| 8.ლაციო | 14 | 6 | 3 | 5 | 25-25 | 21 |
| 9.ბოლონია | 14 | 6 | 3 | 5 | 20-24 | 21 |
| 10.ვერონა | 14 | 5 | 4 | 5 | 28-25 | 19 |
| 11.ემპოლი | 14 | 6 | 1 | 7 | 21-26 | 19 |
| 12.სასუოლო | 14 | 5 | 3 | 6 | 22-21 | 18 |
| 13.ტორინო | 14 | 5 | 2 | 7 | 17-14 | 17 |
| 14.უდინეზე | 14 | 3 | 6 | 5 | 16-20 | 16 |
| 15.სამპდორია | 14 | 4 | 3 | 7 | 20-26 | 15 |
| 16.ვენეცია | 14 | 4 | 3 | 7 | 12-21 | 15 |
| 17.სპეცია | 14 | 3 | 2 | 9 | 15-32 | 11 |
| 18.ჯენოა | 14 | 1 | 7 | 6 | 17-26 | 10 |
| 19.კალიარი | 14 | 1 | 5 | 8 | 16-29 | 8 |
| 20.სალერნიტანა | 14 | 2 | 2 | 10 | 11-29 | 8 |

**იტალია. სერია ბ**

კომო-პარმა .................................... 1:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

სტ.ეტიენი-პსჟ ............................... 1:3
ბორდო-ბრესტი ............................. 1:2
ლორიანი-რენი .............................. 0:2
მონაკო-სტრასბური ...................... 1:1
რეიმსი-კლერმონი ........................ 1:0
მონპელიე-ლიონი ......................... 0:1
მარსელი-ტრუა ............................. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 15 | 13 | 1 | 1 | 35-15 | 40 |
| 2.რენი | 15 | 8 | 4 | 3 | 26-12 | 28 |
| 3.ნიცა | 15 | 8 | 3 | 4 | 25-12 | 26 |
| 5.მარსელი | 14 | 7 | 5 | 2 | 23-12 | 26 |
| 4.ლანსი | 15 | 7 | 4 | 4 | 27-20 | 25 |
| 6.ანჟე | 15 | 5 | 7 | 3 | 22-18 | 22 |
| 7.სტრასბური | 15 | 5 | 5 | 5 | 26-20 | 20 |
| 8.მონაკო | 15 | 5 | 5 | 5 | 20-19 | 20 |
| 9.ლიონი | 14 | 6 | 4 | 4 | 22-21 | 22 |
| 10.მონპელიე | 15 | 5 | 4 | 6 | 21-22 | 19 |
| 11.ნანტი | 15 | 5 | 4 | 6 | 20-20 | 19 |
| 12.ბრესტი | 15 | 4 | 6 | 5 | 22-22 | 18 |
| 13.ლილი | 15 | 4 | 6 | 5 | 19-22 | 18 |
| 14.რეიმსი | 15 | 3 | 7 | 5 | 16-18 | 16 |
| 15.ლორიანი | 15 | 3 | 6 | 6 | 13-23 | 15 |
| 16.ბორდო | 14 | 2 | 7 | 5 | 21-30 | 13 |
| 17.ტრუა | 15 | 3 | 4 | 8 | 13-23 | 13 |
| 18.კლერმონი | 15 | 3 | 4 | 8 | 17-29 | 13 |
| 19.მეცი | 15 | 2 | 6 | 7 | 17-30 | 12 |
| 20.სტ.ეტიენი | 15 | 2 | 6 | 7 | 17-31 | 12 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

სპარტა-აიაქსი ............................... 0:1
ტვენტე-ფეინოორდი ..................... 0:0
უტრეხტი-ერაკლესი ...................... 1:0
ჰერენვენი-პსვ ............................... 1:1
ვიტესი-ალკმაარი ......................... 0:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-ფერეირა ...................... 2:0
სპორტინგი-ტონდელა .................. 2:0
პორტუ-გიმარაეში ........................ 2:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ნ.ნოვგოროდი-კრილია ................. 0:0
რუბინი-დინამო ............................. 2:3
ცსკა-ზენიტი ................................. 0:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენკი-ბრიუგე ................................ 2:3
ვარეგემი-ბეერსხოტი .................... 2:0
გენტი-სტანდარდი ........................ 3:1
ანტვერპენი-ოსტენდე .................. 3:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-შტურმი .......................... 2:1
ჰარტბერგი-ლინცერი .................... 2:1

რიდი-რაპიდი ................................ 2:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ლივინგსტონი-რეინჯერსი 1:3
სელტიკი-აბერდინი 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გაზიანთეპი-ქონია ......................... 3:2
სივასი-ჰატაი ................................. 4:0
ქარაგუმრუქი-ტრაბზონი ............. 0:2
მალათია-გალათასარაი 0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოლიმპიაკოსი-ვოლოსი ................ 2:1
ოფი-იონიკოსი .............................. 2:1
პანათინაიკოსი-პანეთოლიკოსი .. 2:0
პაოკი-არისი .................................. 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ციურიხი-იანგ ბოიზი .................... 1:0
ლოზანა-სერვეტი .......................... 0:3
ლუცერნი-ბაზელი ......................... 1:3

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჰრადეც კრალოვე-კარვინა ......... 1:0
სლავია-ტეპლიცე .......................... 3:0
იაბლონეცი-ბოლესლავი ............. 0:1
სპარტა-სლოვანი .......................... 2:1

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

პლოცკი-კრაკოვია ........................ 2:1
ლეხი-ვარტა .................................. 2:0
ლეგია-იაგელონია ........................ 1:0

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

დებრეცენი-პაკში ......................... 1:1
პუშ.აკადემია-ზალაეგერსეგი ..... 1:1
მეზეკოვეშდი-ფერენცვაროში ..... 0:3

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ინგულეცი-შახტარი ...................... 0:1
რუხი-მეტალისტი ......................... 2:0
კოლოსი-ვერესი ............................ 1:0

**დანია. სუპერლიგა**

ვიბორგი-სონდერიისკე ................ 1:1
ოდენსე-ნორდსიელანდი .............. 2:0
ბრონდბიუ-რანდერსი .................. 1:0
ოლბორგი-კოპენჰაგენი .............. 1:3

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-ესტერსტუნდი 4:0
დეგერფორსი-ნორჩიოპინგი ......... 4:1
დიურგარდენი-ვარბერგი ............. 2:3
კალმარი-მალმიო .......................... 0:1
ჰალმშტადი-ჰამარბი ................... 0:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

კრისტიანსუნდი-ვიკინგი ............. 2:3
მიონდალენი-სარპსბორგი ........... 1:3
რუსენბორგი-ბოდო გლიმტი ........ 0:0
ტრომსო-სტაბეკი .......................... 0:0
ჰაუგესუნდი-სანდერფიორდი ....... 1:2
ბრანი-მიოლდე .............................. 0:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. უმაღლესი ხარისხის ბროლი; 2. სასუნთქი თამბაქო; 3. ქალაქი ესპანეთში, სადაც იმართება კორიდის გახსნის საზეიმო ცერემონიალი; 4. თანაზომიერება, პროპორციულობა რაიმეს განლაგებაში; 8. შამპანურის შემქმნელად მიჩნეული ბენედიქტელი ბერი; 9. გერმანიის პარლამენტი; 11. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 12. მომღერალთა გუნდის ძველებური სახელწოდება; 14. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 16. მუშაობის, მოღვაწეობის მომავალი გეგმა; 17. უმაღლესი მწვერვალი ალპებში; 19. ერთ-ერთი უზენაესი ღვთაება ინდუიზმში; 21. ცალკეული სცენებისა და ნომრებისგან შედგენილი საესტრადო-თეატრალური წარმოდგენა.

**თარაზულად:** 5. იაპონური მოტოციკლეტი; 6. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 7. დიდი, შხამიანი ობობა; 10. მადნის, ქვიშის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 13. საგაზეთო პუბლიკაცია; 15. ნაყინის მოსამზადებელი აპარატი; 18. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი; 20. ქიმიური ელემენტი, აირი; 22. ჰოლანდიური ლუდი; 23. ადამიანის, ცხოველის ჩანასახი; 24. ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბულონი; 2. წირვა; 3. ხუანხე; 4. ვალაბი; 6. რაციონი; 9. სელბი; 11. კლასიკა; 15. რუდიმენტი; 16. ჩითილი; 17. პუნქტირი; 19. აქსიომა; 21. კაიზერი; 22. სენატი.

**თარაზულად:** 5. ბუდეშური; 7. ამბიცია; 8. ალონსო; 10. ბედლამი; 12. ბუუჟი; 13. კოლიე; 14. დობერმანი; 18. ტოსკა; 20. ფირუზი; 23. რეიმსი; 24. იკეა; 25. რულეტი; 26. ტოტო; 27. არითმია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ლოკალი; 2. ბონდერი; 3. რიგოლეტო; 4. სკორსეზე; 8. კოლექტორი; 9. სკაგერაკი; 11. როლექსი; 12. შუნი; 14. უიგა; 16. ყაბალახი; 17. ლანჩხუთი; 19. ბურახი; 21. ოდესა.

**თარაზულად:** 5. სინოპეკი; 6. ინსბრუკი; 7. ველასკესი; 10. ბეზოსი; 13. კვანზა; 15. ინჟენიუ; 18. თაგორი; 20. ასკანა; 22. ბურგუნდია; 23. ახალციხე; 24. ესპანეთი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


30 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 3.0867 |
| ევრო | 3.4849 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 4.1204 |
| 100 რუსული რუბლი | 4.1200 |

## ამინდის პროგნოზი 30 ნოემბრისათვის




## მესი: „მიხარია, რომ პსჟ-ს გამარჯვებაში დავეხმარე“



ლიონელ მესიმ სენტ ეტიენის წინააღმდეგ ძალიან კარგი შეხვედრა ჩაატარა და მან 3 საგოლე გადაცემის გაკეთება შეძლო, რაც მესისთვის ამ სეზონში საუკეთესო შედეგია.

მესის აქამდე პსჟ-ში საგოლე გადაცემა გაკეთებული არ ჰქონდა და, ბუნებრივია, ის ამ ფაქტის გამო სიხარულს არ მალავდა:

– მთავარი გუნდის გამარჯვებაა და ვიცი, რომ პსჟ-სთვის უფრო მეტის გაკეთება შემიძლია. დღევანდელ თამაშში ყველაფერი იდეალურად იყო და მინდა, რომ ასე გაგრძელდეს.

## ანდრეი შევჩენკო: „ჯენოას პროგრესი აქვს“



ჯენოას ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ანდრეი შევჩენკომ უდინეზესთან ფრის მიუხედავად განაცხადა, რომ მის გუნდს პროგრესი აქვს და გამარჯვებები აუცილებლად იქნება. შევჩენკოს აზრით, ეს მხოლოდ დროის საკითხია:

– სამწუხაროა, რომ უდინეზეს დამარცხება ვერ შევძელით, თუმცა თამაშში აშკარა პროგრესი იგრძნობა და ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ასე გავაგრძელებთ. ჩემი ფეხბურთელების მჯერა და ვიცი, მათ რა შეუძლიათ.

## პოგბა შესაძლოა მანჩესტერში დარჩეს

მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგი ნახევარმცველი პოლ პოგბა შესაძლოა გუნდში დარჩეს, რადგან მას გუნდის ახალი მწვრთნელის, რალფ რანგნიკის, ძალიან ეიმედება.



გარდა ამისა, პოგბამ თავისთვის ოპტიმალური ვარიანტი ვერ გამონახა და ამიტომ მას ახალ გუნდში გადასვლა არ სურს.

პოგბას იუნაიტედიდან წასვლის შესახებ დიდი ხანია საუბრობენ, მაგრამ ჯერჯერობით ის გუნდში რჩება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მითხარი რამე, რას გაჩუმებულხარ. შენი დუმილი პირდაპირ მაცოფებს. მიდი... გელოდები...

– რა გითხრა?

– ხმა ჩაიწყვიტე, ნაძირალავ!

●●●

მამაკაცი ექიმთანაა მიღებაზე:

– ექიმო, ბოლო დროს უცნაური რაღაც მემართება: ვთქვათ, ვინმეს ვესაუბრები, მგონია, რომ რაღაცას ვუყვები, მერე კი აღმოჩნდება, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში თურმე არც არაფერი მითქვამს...

ექიმი:

– კაცო, აღარ იტყვი, რა გჭირს?! ამოიღებ ხმას თუ არა?

●●●

საღამოა, კაცი ფანჯარაში იყურება, მერე ცოლს მიუბრუნდება და ეუბნება:

– საყვარელო, გინდა ციდან ვარსკვლავი მოგიწყვიტო?

– არავითარი ვარსკვლავი, ამ საღამოს სახლში იჯდები!

●●●

ორი ნარკომანი ტყეში მიდის. ერთი ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იქვე ბუჩქებში გადავა. ცოტა ხანში მეგობარს გამოსძახებს:

– ნიკუშ, ქაღალდი არ გაქვს?

– კარგი რა, ბიჭო, დატოვე და წამოდი!

●●●

მასპინძელი სტუმრებს ეკითხება:

– ხელებს საპნით დაიბანთ, თუ ჩაის დალევთ შაქრის ნატეხით?

●●●

მამა და შვილი პარკში მიდიან, კიბეებთან მივლენ და შვილი მამას ეუბნება:

– მამიკო, ფრთხილად, აქ საფეხურები მოყინულია და ფეხი ცურავს!

– მოკეტე, ბიჭო-ჭო-ჭო-ჭო...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– შენმა ქმარმა იცის, რომ ღალატობ?

– ჩემმა არა, შენმა იცის.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ჩვენმა შვილმა მათემატიკაში ისევ ორიანი მიიღო.

– გამოცდილი რეპეტიტორი უნდა მოვუძებნოთ.

– ჰო, მაგრამ, ამოცანები შენ ამოუხსენი.

– მაშინ მე მჭირდება რეპეტიტორი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## „მასტერშეფის“ გამარჯვებული რუსო დაუშვილია




„მასტერშეფის“ მეექვსე სეზონის გამარჯვებული რუსო დაუშვილი გახდა.

დაძაბულ ფინალურ ტურში ერთმანეთს სამი კონკურსანტი შეეჯიბრა – დიმიტრი რჩეულიშვილი, მარიკა კოპალიანი და რუსო დაუშვილი.

შოუს გამარჯვებულად, შეფების გადაწყვეტილებით, რუსო დაუშვილი დასახელდა და მას საჩუქრად პროექტის მთავარი პრიზის და ქვეყნის საუკეთესო მზარეულის ტიტულის გარდა, ბინაც გადაეცა.

## თბილისში ძველ გალავანზე არაბული წარწერა ისევ გადალებეს



ძველ თბილისში, პუშკინის ქუჩაზე არაბული ეპიგრაფიკული წარწერა კვლავ გადალებეს.

ინფორმაცია და ფოტოები ინტერნეტში „ტფილისის ჰამქარის“ წარმომადგენლმა ცირა ელისაშვილმა გაავრცელა:

– პუშკინზე, ძველ გალავანზე გუდრონით გადალებილი არაბული ეპიგრაფიკული წარწერა შავი საღებავით რომ გადალებეს, გემახსოვრებათ.

რესტავრაციის შემდეგ წარწერას დაცვის თვალსაზრისით მინა დაუყენეს. დღეს ეს მინა გადალება ვიღაც ნაძირალამ! სავარაუდოდ, იმან, ვინც რამდენიმე თვის წინ ძეგლი დააზიანა! ხოდა, ეს ვარაუდები რომ მოიხსნას, დააყენეთ კამერა!

შინაგან საქმეთა სამინისტრო – გამოიძიეთ, გახსენით საქმე, თუ ბარდიურზე ასულ ოპერატორებს ებრძვით?!

## ეთერ კაკულია 79 წლის გახდებოდა



მომღერალი ეთერ კაკულია 79 წლის გახდებოდა. ყველაზე ხალისიანი ხელოვანი დაბადების დღეზე კოლეგებმა და უახლოესმა მეგობრებმა გაიხსენეს. როგორც ისინი აღნიშნავენ, ეთერ კაკულია არავის უნახავს მოწყენილი, გაბრაზებული და უხასიათო – პირიქით, ის ყოველთვის კარგ განწყობაზე იყო და ცდილობდა, თავისი დადებითი ემოციები მაქსიმალურად ყველასთვის გაეზიარებინა.

„მზე ჩემი მეგობარია“ – ეს სიმღერა გახდა ეთერ კაკულიას შემოქმედებითი წარმატების მწვერვალი. სიმღერა კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა პოეტ მორის ფოცხიშვილის ლექსზე დაწერა. სიმღერა ნამდვილ ჰიტად იქცა და ძალიან დიდხანს მსმენელში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა.

ეთერ კაკულიას მადლიერმა მსმენელმა ფილარმონიის წინ სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნა.

მომღერალი 6 წლის წინ 73 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას ექიმებმა სიმსივნე დაუდგინეს, მომღერალი სამკურნალოდ უცხოეთშიც წავიდა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ეთერ კაკულია ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს, თბილისში ერთ-ერთ ქუჩას კი მისი სახელი მიენიჭა.

## ანთიმოზ ივერიელის გამოცემული „ბერძნულ-რუმინული სახარების“ რესტავრაცია დაიწყო



ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდის კიდევ ერთი გამორჩეული ექსპონატის, ანთიმოზ ივერიელის მიერ რუმინეთში 1693 წელს გამოცემული „ბერძნულ-რუმინული სახარების“ რესტავრაცია დაიწყო.

ანთიმოზ ივერიელი, რუმინეთში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირი, რომელიც რუმინეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად აღიარა, აქტიურ საგამომცემლო საქმიანობას ეწეოდა. თავის დროზე სწორედ ის დაეხმარა ვახტანგ VI-ს თბილისში პირველი ქართული სტამბის გამართვაში. მისი დამსახურებაა პირველი ქართული გამოცემების ევროპულ ქაღალდზე დაბეჭდვა. ანთიმოზმა ამ საქმისთვის საქართველოში მისი წარმომადგენელი, მიხაილ იშტვანოვიჩიც კი გამოგზავნა. ამ უკანასკნელის სახელი ვახტანგის სტამბის წიგნებზეც იკითხება.

„ბერძნულ-რუმინული სახარება“ ანთიმოზ ივერიელის მიერ რუმინეთში დაბეჭდილი ერთ-ერთი გამორჩეული წიგნია, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდის ნაწილი სულ ახლახან გახდა. გამოცემა სრულ რესტავრაციას საჭიროებს.

წიგნი რესტავრაციის ყველა ეტაპს გაივლის. აუცილებელია ფურცლების მშრალი დასუფთავება, ქიმიური დამუშავება, დანაკარგი ადგილების შევსება. აღდგენილი წიგნის ბლოკი მოთავსდება ყდაში. ყდის დამუშავება ცალკე პროცესია. გამოცემას აქვს ორნამენტებით დატვირთული, მოოქროვილი, მაგრამ დაბალი ხილვადობის ყდა.

ანთიმოზ ივერიელის მიერ გამოცემული „ბერძნულ-რუმინული სახარება“ 3 თვეში სრულად იქნება რესტავრირებული.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი

30 ნოემბრისათვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი და ემოციური გარემო ოჯახში საქმეების წარმატებით დასრულებაში ხელს შეგიწყობთ. ფინანსური ოპერაციები თამამად განახორციელეთ. **კურო** – მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს. მათ მიმართ ნდობა და სითბო გამოამჟღავნეთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა გულმოდგინედ აკონტროლეთ. **ტყუპები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა უშედეგო იქნება, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **კირჩხიბი** – დაძაბული დღეა, მაგრამ ეცადეთ, წვრილმან უსიამოვნებებს არ აჰყვეთ. შესაძლოა ძველი კავშირები აღადგინოთ. **ლომი** – პასუხისმგებლობა და მოვალეობის გრძნობა დიდ ენერგიას წაგართმევთ. ნუ იწუწუნებთ. **ქალწული** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **სასწორი** – უსაფუძვლო ოპტიმიზმი გაუმართლებელია. მოვლენები საღად შეაფასეთ და ისე იმოქმედეთ. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **ღრიანკალი** – ძალზე შემოქმედებითი დღეა. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი და უნარი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. გარშემომყოფებთან თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **მშვილდოსანი** – წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებებს თავიდან აგარიდებთ. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით განვითარდება. **თხის რქა** – ვარსკვლავები ნებისმიერ საქმეში გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. ზედმეტი სიჯიუტე და პრინციპულობა პარტნიორებთან ურთიერთობაში სასურველი არ არის. **მერწყული** – დაგეგმილი შეხვედრები თქვენთვის არასასურველი შედეგით დამთავრდება. ნებისმიერ სიტუაციაში ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – არაფრისმომცემი საუბრები, ცრუ საქმიანობა გარშემომყოფებს თქვენ მიმართ უარყოფითად განაწყობს. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. კომპანიის, ფირმის ფინანსური მდგომარეობის, ქონების შემფასებელი ექსპერტი; 2. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 3. სისხლის თხევადი ნაწილი; 4. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 6. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 9. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი; 11. მე-18 საუკუნის იტალიელი მევიოლინე, კომპოზიტორი, დირიჟორი; 15. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 16. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 17. გულიანი კანფეტი; 19. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 21. ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონი; 22. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ჯიში.

**თარაზულად:** 5. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი; 7. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 8. „ფორმულა-1“-ში მონაწილე მექსიკელი ავტომრბოლელი; 10. ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 12. თვითმფრინავმშენებლობის ცენტრი ინგლისში; 13. ხელოვნების მუზეუმი ფლორენციაში; 14. პარფიუმერული კომპანია „ლორეალის“ მფლობელი; 18. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 20. ქერისა და შვრიისგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 23. ლიეტუველი კომპოზიტორი მამაკაცი; 24. აეროპორტი პარიზში; 25. მდინარის ჩქერებიანი მონაკვეთი; 26. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 27. იტალიური პატარა რესტორანი.

*შეაადგინა თ.კოპალეიშვილმა*